

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№119 (1014) 3 - 4 დეკემბერი, 2014 წელი

შესაძლებელია თუ არა საქართველოში ხარისხიანი განათლების მიღება მაღალი ტარიფების გარეშე

გვ. 6-7



EAST EUROPEAN UNIVERSITY

www.eeu.edu.ge

## „თელასის“ სკანდალი

რაცომ ითიშება დენი თბილისში

გვ. 3-4

„ძაღიან ადვილია მამუკა ხაზარაძისკენ თითის გაშვერა, მაგრამ რეაღურად, ის არაფერ შუაშია!“

„ვერსიამ“ „თეცისა და „თედასის“ ხედმძღვანელების სკანდალური წერილები მოიპოვა

შურნალისტური მოკვლევა

სქამა, რომლითაც დავით ბაქუაშვილმა თბოელექტროსტანდარტი ხელში ჩაიგდო

### „სააკაშვილმა ოთხ „კანონიერ ქურდს“ საქართველოში არაულობის მოწყობა სთხოვა“

რას პასუხობს არასამთავრობო ორგანიზაციის ბრძედებს გივი თარგამაძე და რა კავშირი აქვს „კრიმინალურ ავტორიტეტ“ ქუხიდავას ციხეების ბუნტთან

გვ. 5



### გორგონია

შეხვედობა რამთნთი

ვიკარეარკავს „გორგონიაში“ მსოფლიო ბრანდის „განდის“ ახალი საღებავები უკვე ხელმისაწვდომია

გვ. 7

საყდრისი-ყარაღიანის ობიექტზე აღრეულ ხანაში ოქროს კვალი არ ჩანს?!

გვ. 9

ირაკლი სენიაშვილი: „არაფრის დამაღვანს ვაპირებ“

### სასჯელი ხაბის ქურდობისთვის

როგორ შეეცნეს გიგა ბოკერიას ახლობლის დანაშაუდი გოდიათ გოგას და რაცომ კვეთს ყოფიდი პატიმარი უზარმაზარ ხაფს პატიმარქის კურთხევით

პატიმარის დღიური



გვ. 10



გვ. 4

როგორ უმდის საქართველოს ხედისუფდება ხელს უკრაინაში თანამდებობებზე ქართველების დანიშვნას

### 3 დეკემბერს საქართველოს ჯაიხს აკაბუარაი ენვავა



საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, დავით კერესელიძის ინფორმაციით, გარდა იმისა, რომ დაგეგმილია ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის საქართველოში ვიზიტი, საგარეო უწყების ხელმძღვანელი თამარ ბერუჩაშვილი ბრიუსელში ნატო-ს გენერალურ მდივანს, იენს სტოლტენბერგს შეხვდება. შეხვედრა ნატო-ს მინისტრიალის ფარგლებში გაიმართება.

4-5 დეკემბერს კი, უწყების ხელმძღვანელი შვეიცარიაში, ეუთო-ს მინისტრიალში მიიღებს მონაწილეობას, სადაც თამარ ბერუჩაშვილი შვეიცარიის პრეზიდენტს, ეუთო-ს გენერალურ მდივანსა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს შეხვდება.

„პირველი“

### შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი სომხეთში დასრულდა

სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის სამართალდამცავ სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე.



ვიზიტის ფარგლებში, 1 დეკემბერს, საქართველოს შს მინისტრი სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ გასპარიანსაც შეხვდა. ვლადიმერ გასპარიანმა აღიქვანდრე ჭიკაძეს სომხეთსა და საქართველოს შორის პოლიციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის მედალი გადასცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის დირექტორ გორიკ აკოპიანს. მათ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში დასრულდა.

„პირველი“

### საავტომობილო გზების ბარკვეულ მონაკვეთებზე შეზღუდვები მოქმედებს



საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვაჟა ფანჩულიძის განმარტებით, ამინდის გაუარესების გამო, უწყება ზამთრის რეჟიმზე გადავიდა: „ამინდის გაუარესების გამო მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარისის საავტომობილო გზის მიმართულებებით გარკვეული რეჟიმი დანესდა — გუდაურამდე მოძრაობა თავისუფალია ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებისთვის, ხოლო გუდაურიდან კობის მიმართულებით მოძრაობა დასაშვებია ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის მოცურების სანინალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით“.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის გამო, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 136-კმ 157 (ჩუმათელეთი-ხუნევი) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბ-მელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამასთან, დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარისის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების სანინალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი ნამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, ზვავსამშრომლების გამო გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება შეუჩერებლად გავლის რეჟიმში მხოლოდ ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტყევალობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად. ამავე გზის, კმ 134-კმ 135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

„პირველი“

### შსს-ს მომსახურების სააგენტო, მართვის მოწმობის გამოცდასთან დაკავშირებით, განსხვავებს აპრესალებს

10 დეკემბრამდე მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე განაცხადების მიღება, ნაცვლად 16:30 საათისა, 15:00 სთ-მდე ინარმოებს: „მართვის მოწმობის აღების მსურველთა დიდი ნაკადის გამო, რაც თეორიულ გამოცდაში დაგეგმილმა ცვლილებებმა გამოიწვია, გაცნობებთ, რომ 10 დეკემბრამდე მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე განაცხადების მიღება, ნაცვლად 16:30 საათისა, 15:00 სთ-მდე ინარმოებს, რათა თითოეულმა მსურველმა პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლა შეფერხების გარეშე შეძლოს. 2014 წლის 15 დეკემბრიდან შსს-ს მომსახურების სააგენტოში მძღოლობის კანდიდატები მართვის მოწმობის გამოცდას ახალი 3D ბილეთებით ჩააბარებენ. გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბილეთები გართულებულია, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ახალი ბილეთები დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს ვითარების უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომობილისტების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტო-ვიდეო მასალა. ამასთან, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა“.



„პირველი“

### პრეზიდენტმა სსკ-ის წევრის ერთ პაქანტურ თანამდებობაზე პარლამენტს 2 კანდიდატურა წარუდგინა



ლევან ტურაშვილი და ზურაბ ხრიკაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ წარადგინა. პატარაიას განცხადებით, შესაბამისი წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან პარლამენტში უკვე გაიგზავნა. კანდიდატები ღია და გამჭვირვალე პროცედურებით შეარჩიეს. როგორც პატარაია აცხადებს, დასახელებულ კანდიდატებს შთამბეჭდავი გამოცდილება აქვთ საარჩევნო სფეროში.

ლევან ტურაშვილმა და ზურაბ ხრიკაძემ პრეზიდენტსა და საკონსურსო კომისიას ნდობისთვის მადლობა გადაუხადეს. ცნობისთვის, კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსი 4 ნოემბერს გამოცხადდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სულ 18 განაცხადი შევიდა, რომელთაგან კომისიამ შეარჩია და საქართველოს პრეზიდენტს 3 კანდიდატურა წარუდგინა. გიორგი მარგველაშვილმა 2 კანდიდატურა კანონმდებლობის შესაბამისად ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 7 დღის ვადაში წარუდგინა.

რაც შეეხება საკონსურსო კომისიას, ის დაკომპლექტებული იყო 6 წევრისგან, რომელთაგან 3 არასამთავრობო სექტორის, დანარჩენი 3 კი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი იყო.

„პირველი“



### „სიმაართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზიიივას“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი განცხადებას ავრცელებს. ილია მეორე იმედოვნებს, რომ საქართველო აფხაზებსა და ოსებთან ძმურ ურთიერთობას ადრე თუ გვიან, ალადაგენს და ალადაგენს ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან სიმაართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზიიივებს: „რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აფხაზების დე ფაქტო მთავრობასთან (და მომავალში, ალბათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მმართველ ძალასთანაც) ხელშეკრულების გაფორმებით საქართველო-რუსეთის შორის არსებულ ისედაც რთულ პოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს და ერთმანეთისაგან აშორებს ორ მოძმე მართლმადიდებელ ხალხს. მინდა, საზოგადოების ყურადღება ორ მომენტზე შევანერო: ამ ხელშეკრულებით უგულვებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა. ყველამ იცის, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 20 წელზე მეტია, იძულებით არის გადაადგილებული და ბუნებრივია, ვერ მონაწილეობდა ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში.“

უკვე მერამდენედ აღვნიშნავთ, რომ კარგა ხანია, არ გვეძლევა საშუალება აფხაზებთში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის მრევლის რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, რაც, ასევე, საერთაშორისო კანონების დარღვევაა. რა თქმა უნდა, მომხდარი ფრიად სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს შევეგუებით. ადრეც ვამბობდი და კვლავაც გავიმეორებ, რომ ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნისათვის ეს დროებითი განსაცდელია. საქართველო აფხაზებსა და ოსებთან ძმურ ურთიერთობას ადრე თუ გვიან, ალადაგენს და ალადაგენს ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან სიმაართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზიიივებს“.

„პირველი“

### სოსილაურად დაუხველ ოჯახებს ზამთრის პერიოდში გადახდელის მიზანით გაზომარაბება ადარ შეუწყდება



საქართველოს მასშტაბით, „სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტები, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსით სარგებლობენ, დაგროვილ დავალიანებას ეტაპობრივად დაფარავენ.

ვიცე-პრემიერი ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ქალაქ რუსთავის მერი დავით ჯიქია, ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მალაქელიძე, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი რამინ ისმაილოვი და კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლები ქალაქ რუსთავში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ავალიმელების მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრნენ და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შეღავათების ახალი პროექტის დეტალები გააცნეს.

სოციალურად დაუცველი ოჯახები „სოკარ ჯორჯია გაზისგან“ დამატებითი სერვისებითაც უფასოდ ისარგებლებენ.

იმ შემთხვევაში, თუ სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიკუთვნებული ოჯახი მიიჩნევის, რომ მათი ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძი გამართულად არ მუშაობს ან ბინებში დამონტაჟებული გაზის გამათბობლების/გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლების გამართულობაში ეჭვი ეპარებათ, შეუძლიათ, წერილობით მიმართონ „სოკარ ჯორჯია გაზს“. კომპანიის თანამშრომლები ადგილზე შეამოწმებენ აღრიცხვის ანონის სისტემას და უსასყიდლოდ აღმოფხვრიან ხარვეზს.

ანალოგიურ შეღავათებს მოსახლეობას სთავაზობს კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, რაც ნიშნავს, რომ რეგიონების მსგავსად, თბილისში მცხოვრები ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი შეძლებს ზამთარში დაგროვილი დავალიანების ეტაპობრივად გადახდას, ხოლო ბუნებრივი გაზის აღრიცხვიანობის სისტემა უსასყიდლოდ მოუწესრიგდება.

მხოლოდ ქვემო ქართლში სოციალურად დაუცველთა კატეგორიას ამჟამად 12 000 ოჯახი მიეკუთვნება, თბილისში კი ამავე სტატუსით 25 000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს.

„პირველი“

მაია მიშელაძე  
593-51-90-12

ბოლო დროს, თბილისში 90-იანი წლების „აჩრდილი“ დაძრწის. ეს „აჩრდილი“ ხშირად, ავადსახსენებელი მე-9 ბლოკის სახით გვევლინება, რადგან დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ელექტროენერჯის გათიშვა გახშირდა. ბუნებრივია, ამ დროს პასუხი „თელასს“ უნდა მოვთხოვოთ, რადგან თბილისელებს ელექტროენერჯიას სწორედ ეს კომპანია აწვდის, თუმცა „ვერსიაში“ უკვე გამოქვეყნდა სს „თელასის“ გენერალური დირექტორის, სერგეი კობცევის ექსკლუზიური ინტერვიუ და გაირკვა, რომ დენის ხშირი გათიშვის მიზეზი „თელასი“ არ არის. თურმე, დედაქალაქში არსებული სატრანსფორმატორო ჯიხურების 46% სხვადასხვა კერძო კომპანიის საკუთრებაშია. სერგეი კობცევთან ექსკლუზიური ინტერვიუს შემდეგ „ვერსია“ ამ პრობლემით დაინტერესდა და ჟურნალისტური მოკვლევა დაიწყო. არაოფიციალურად გაირკვა, რომ თბილისის ელექტროენერჯიის გამანაწილებელი ქსელი — „თეცი“, ანუ თბოელექტროცენტრალი თბილისი ჯგუფის დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის საკუთრებაშია.

„თეცი“ პრივატიზაციის სანაღვრეო დებულება

„ვერსიასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუში, სს „თელასის“ გენერალურმა დირექტორმა, სერგეი კობცევმა განაცხადა, რომ დენის ხშირი გათიშვის მიზეზი სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილი ელექტროქსელია, რომელთა საქმიანობის პროფილი არანაირად არ ითვალისწინებს ქსელის რემონტს, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციას და მოდერნიზებას: „ეს ქსელი ხშირად გამოდის მწყობრიდან, რაც იწვევს მომსახურებელთა სრულიად სამართლიან გულისწყრომას. ხშირად, აბონენტი ითხოვს ავარიის აღმოფხვრას, მაგრამ სს „თელასის“ ტექნიკური სამსახური ვერ ასრულებს სამუშაოებს, ვინაიდან ტრანსფორმატორი თუ კაბელი კომპანიის საკუთრება არ არის. გარდა ამისა, არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, რაც უბრალოდ, საშიშაა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ამჟამად, თბილისში არსებული სატრანსფორმატორო ჯიხურების დაახლოებით 46% „თელასს“ არ ეკუთვნის. თქვენი გაზეთის საშუალებით, მიგვითხარეთ ამ ორგანიზაციებს აღნიშნული აქტივების სს „თელასის“ საკუთრებაში გადაცემის თხოვნით, რათა ქსელის კვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფა შევძლოთ!“

„ვერსია“ სს „თელასის“ პრივატიზების დეტალებით დაინტერესდა. გაირკვა, რომ თავის დროზე, როდესაც სახელმწიფომ ტენდერი გამოაცხადა და „თელასის“ პრივატიზება განახორციელა, კომპანია თბილისის გამანაწილებელი ქსელის გარეშე გაიყიდა! 1998 წელს, „თელასის“ პრივატიზების პროცესში, ამერიკული „ეი ი ეს“-ის გარდა, საფრანგეთის სახელმწიფო ენერჯოკომპანია „ედე ეფ“-იც მონაწილეობდა. საქართველოს სივრცეში მანამდე არ ჩატარებულა ამ დონის პრივატიზება, სადაც მსოფლიოს ორი გიგანტი კომპანია აპირებდა „თელასის“ აქციების 75%-ის შექენას — კომპანიის აქციების 25%-ს დღესაც სახელმწიფო ფლობს. ტენდერში ამერიკულმა „ეი ი ეს“-მა გაიმარჯვა და „თელასის“ აქციების 75% შეიძინა. კომპანიის მამულისგან გენერალურმა დირექტორმა, მაიკლ სკოულმა საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად არაერთხელ მიმართა, რომ თბილისის გამანაწილებელი ქსელიც გადაეცათ მართლაც, მაგრამ უშედეგოდ.

„ვერსიაში“ კონფიდენციალური და კარგად ინფორმირებული წყაროსგან შეიტყო, რომ თბილისის გამანაწილებელი ქსელის, „თეცის“ პრივატიზება სახელმწიფომ 2000 წელს დაიწყო. უზარმაზარი ტერიტორია, 10 300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით, ორი მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორითა და 28 გამანაწილებელი ფიდერით, პარლამენტის ნევსა და ბიზნესმენ დავით ბეჟუაშვილს 125 000 აშშ დოლარად მიყიდა, რაც სრული ნონსენსი იყო. კარგად ინფორმირებული წყარო გვიამბობს, რომ „თეცის“ ყოველწლიური შემოსავალი 100 000 ლარს სცილდება, რადგან „თელასი“ მას ელექტროენერჯის გატარების ტარიფს უხდის. აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელი იყო, ბეჟუაშვილის ჩალის ფასად, მხოლოდ 125 000 აშშ დოლარად ჩაეგდო ხელში.

სხვათა შორის, „თეცის“ სკანდალური პრივატიზების გამო, 2000 წელს, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, საქართველოს ენერჯეტიკის მაშინდელმა მინისტრმა, დავით მირცხულავამ დაუფარავად განაცხადა, რომ არ შეიძლება, ამხელა ქონების 125 000 აშშ დოლარად, ანუ სამოთხიანი ბინის ფასად გაყიდეს. ამის შემდეგ, მირცხულავას ჟვანია-საკაშვილის გუნდი ლიად დაუპირისპირდა, რადგან იმ პერიოდში, ბეჟუაშვილს სწორედ მიხედავდა სააკაშვილი მფარველობდა. თუმცა მირცხულავა-ბეჟუაშვილის დაპირისპირებას პრესტორიაც ჰქონდა — „თელასისა“ და „თეცის“ პრივატიზებამდე, მირცხულავამ გაზის 65-თერთიანი ტარიფი, 47 თეთრამდე შეამცირა, რადგან ბუნებრივი აირის გამანაწილებელი სქემიდან შუამავალი, ბეჟუაშვილის კომპანია „საქგაზი“ ამოავდო. გაზის განაწილების მაშინდელი სქემა ასეთი იყო: ბუნებრივი აირი რუსეთიდან საქართველოს საზღვრამდე რუსულ „გაზპრომს“ შემოჰქონდა, საქართველოს საზღვრიდან ამ სქემაში უკვე „საქგაზი“ ერთვებოდა, შემოტანილ ბუნებრივ აირს კი ქვეყნის მასშტაბით, უკვე საერთაშორისო კომპანია „იტერა“ აწარმოებდა.

რატომ გაყიდა სახელმწიფომ „თეცი“ 125 000 აშშ დოლარად, ან მაინცდამაინც, დავით ბეჟუაშვილს რატომ მიჰყიდა? „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, „თეცის“ ტერიტორიაზე არსებული ელექტროენერჯის ქვესადგური, ანუ მაღალი

# სქამა, რომლითაც დაპით ბეჟუაშვილმა თბოელექტრო ცენტრალი ხელში ჩაიგდო

## რაცომ ითიშება დენი თბილისის ცენტრალურ უბნებში



ძაბვის ორი ტრანსფორმატორი და 28-ფიდერიანი გამანაწილებელი ქსელი, შემოსავლის წყარო იყო. ცხადია, შემოსავლის ეს წყარო ხელისუფლებასთან კარგად დაახლოებული ბიზნესმენის, ამ შემთხვევაში, დავით ბეჟუაშვილის ხელში უნდა მოხვედრილიყო. წყარო გვიამბობს, რომ ჩალის ფასად შეძენილი უზარმაზარი ქონება, ბეჟუაშვილს ფულის გასათვრებლადაც სჭირდებოდა. რეალურად, ასეც მოხდა, რადგან მან 2000 წელს, 125 000 აშშ დოლარად ნაყიდი „თეცი“, საერთაშორისო კომპანია „იტერას“ დაახლოებით, 1 000 000 აშშ დოლარად მიყიდა.

„ვერსია“ კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კვალს გაჰყვა. მცდელობის მიუხედავად, კონტაქტზე „იტერას“ წარმომადგენლები და დავით ბეჟუაშვილი არ გამოვიდნენ.

### რას ითხოვს „თეცი“ დირექტორი „თელასისგან“?

„ვერსია“ თბილისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა, სადაც ოფიციალურად განგვიცხადეს, რომ „თეცს“ მამუკა ხაზარაძე კი არა, კომპანია „ჯი არ დი სი“ ფლობს, რომელსაც, ხაზარაძის გარდა, უამრავი საერთაშორისო დამფუძნებელი ჰყავს.

ამის შემდეგ „ვერსია“ სს „თბილისის თბოელექტროცენტრალის“ ანუ „თეცის“ გენერალურ დირექტორს, რეზო გალაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც აგვისნა, რომ „თეცის“ მფლობელია სააკაშვილი საზოგადოება „ჯი არ დი სი“. ამ კომპანიამ „თეცი“ 2006 წელს, „იტერასგან“ შეიძინა:

— ბატონო რეზო, „თელასის“ გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი „ვერსიასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კომპანიის ტექნიკური სამსახური შესაბამის საშუალოს ვერ ასრულებს, რადგან ტრანსფორმატორები და დენის გამანაწილებელი ქსელი მათი საკუთრება არ არის...

— ტყუილია — არ ყოფილა შემთხვევა, „თელასის“ ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლებისთვის ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლა აგვეკრძალა. ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა! მეტიც, არც ისეთი რამ მომხდარა, დედაქალაქში დენი „თეცის“ მიზეზით გათიშულიყო, რადგან „თეცს“ მაღალი ძაბვის დენი მიეწოდება, ადგილზე ხდება 220 ვოლტზე გადაყვანა, რომელიც შემდეგ ჩვენს აბონენტებზე ნაწილდება. თუ „თეცამდე“ მაღალი ძაბვის დენი მოვა, განაწილების პრობლემა აღარ არის.

— მაგალითად, თუ მარჯანიშვილის მოედანთან, რომელიც ქუჩაზე დენი გათიშება, ეს „თეცის“ ბრალი არ არის?

— „თეცი“ არაფერ შუაშია, რადგან, თუ მაღალი ძაბვის დენს ვერ მივიღებთ, ან შეფერხებით მოგვანვდიან, დენი ამიტომ გათიშება და არა „თეცის“ მიზეზით. ამდენად,

„თეცისკენ“ ხელის გაშვება არასწორია! მეტიც, თუ რაიმე დაზიანება „თეცში“, 24-საათიანი მორიგეობა გვაქვს და პერსონალი მზადაა, პრობლემა მოავგაროს. ზოგჯერ დაზიანებას ფიდერის შემთხვევით გათიშვა იწვევს, რადგან შესაძლოა, ქსელი გადაიტვიტოს, მაგრამ მისი განახლება ადგილზევე შესაძლებელი და ერთ საათში, ამ პრობლემას მოავგარებთ. დღემდე მუდმივი მიმონერა მაქვს „თელასის“ ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელსა და გენერალურ დირექტორთანაც. ვითხოვთ, ჩვენს ტერიტორიაზე ტექნიკური ჯგუფი მოვიდეს და ტრანსფორმატორები შეამოწმოს. ამოდ, რადგან ოფიციალურ წერილებს 2014 წლის 7 სექტემბრის შემდეგ ვგზავნი და პასუხი დღემდე არ მიმიღია. „თელასის“ ტექნიკური დირექტორი, ვახტანგ ქინქლაძე და მისი მოადგილე, ზვიად ვაშაკიძე, ჩვენთან მუდმივ კონტაქტში არიან და კარგად იციან ამის შესახებ. რადგან ასე დაინტერესდით, „თელასის“ ხელმძღვანელობასთან ჩემს მიმონერას გაჩვენებთ.

წერილები, რომლებიც „თეცის“ დირექტორმა, რეზო გალაშვილმა „ვერსიას“ გადასცა, 2014 წლის 7 სექტემბრითა და 2014 წლის 3 ნოემბრითა დათარიღებული. პირველი წერილი „თელასის“ ტექნიკური დირექტორის, ვახტანგ ქინქლაძის, ხოლო მეორე — კომპანიის გენერალური დირექტორის, სერგეი კობცევის სახელზეა გაგზავნილი. ორივეს შინაარსი იდენტურია — „თეცის“ დირექტორი „თელასის“ ხელმძღვანელობას ტექნიკურ დახმარებას სთხოვს, რათა მათ საკუთრებაში არსებული ტრანსფორმატორების ლაბორატორიული შემოწმება ჩატარდეს და მოახლოებული ზამთრის პერიოდში გართულებები არ მოჰყვეს.

### რა მიზნით შეიძინა „ჯი არ დი სი“ „თეცი“?

„თეცის“ მფლობელი „ჯი არ დი სი“ ჰოლანდიური კომპანიაა, რომელსაც სხვადასხვა დროს, ბრიტანელი, ჰოლანდიელი, ფრანგი და ამერიკელი ინვესტორები ჰყავდა. 2013 წლის ბოლომდე, მათი ნილი „ჯი არ დი სიში“, დაახლოებით, 80% იყო, 20%-ს კი ქართველი აქციონერები — მამუკა ხაზარაძე და მისი პარტნიორები ფლობდნენ. 2014 წელს, ქართველმა აქციონერებმა „ჯი არ დი სის“ აქციათა ნაწილი გამოისყიდეს და დღევანდელი მდგომარეობით, 50%-ს მამუკა ხაზარაძე და მისი პარტნიორები, ხოლო დარჩენილ 50%-ს — ჰოლანდიელი, ბრიტანელი, ფრანგი და ამერიკელი ინვესტორები ფლობენ. „ჯი არ დი სი“ საერთაშორისო კომპანიაა და სხვადასხვა აქტივების გარდა, მის საკუთრებაშია „თეცი“, რომელიც თავის დროზე, ამ კომპანიამ საინვესტიციო მიზნით შეიძინა. „ვერსია“ კომპანია „ჯი არ დი სის“ დირექტორს, **ლევან ყარალაშვილს** დაუკავშირდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

## პარსიანიუსი

### ირაკლი ღარიბაშვილის უკრაინაში ვიზიტი იზაზაზა

საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის დავით კერესელიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უახლოეს ხანში შედგება. მისივე განმარტებით, ვიზიტის თარიღი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა დეტალები მუშავდება.

როგორც კერესელიძემ აღნიშნა, ვიზიტის თარიღი უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წარდგენაზეც არის დამოკიდებული: „ეს იქნება უმაღლესი დონის ვიზიტი და შესაბამისად, ყველა საკითხზე სასაუბროდ უნდა ვიყოთ მზად. ჩვენ ველოდებით უკრაინაში მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებას და უკვე ამის შემდეგ, შევვიძლია დავგეგმოთ ვიზიტი“.

როგორც სპიკერმა აღნიშნა, პრემიერის ვიზიტი ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებას და თანამშრომლობას შეუწყობს ხელს: „27 ნოემბერს უკრაინაში პოლიტიკური კონსულტაციები ჩატარდა, რომელსაც ქართული მხრიდან მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია ხელმძღვანელობდა. დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები, რათა ორი ქვეყნის თანამშრომლობა გახდეს კიდევ უფრო აქტიური და კოორდინირებული, როგორც ევროინტეგრაციის, ისე რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციის თვალსაზრისით“.



### საფრანგეთში საქართველოს 10 მოქალაქე აქრისონის დააკავეს



ძარცვაში ბრალდებული საქართველოს 10 მოქალაქე საფრანგეთის პოლიციამ პარიზის სხვადასხვა რაიონში დააკავეს. დაკავებულებს თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით 120 ჟურნალი აქვთ ჩადენილი. მოპარული ნივთების ღირებულება საერთო ჯამში 600 ათას ევროს შეადგენს. ფრანგული მედიის ცნობით, ეს დაჯგუფება საფრანგეთის გარდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც მოქმედებდა, მათ შორის, შვეიცარიაში, გერმანიაში და ჰოლანდიაში. დაკავებულთაგან რამდენიმე ქურდული სამყაროს წევრია. დაჯგუფებაში ქართველების გარდა რუსები, მოლდოველები, სომხები, უკრაინელები და ჩეჩნებიც არიან.

„პირველი“



# ირაკლი სასიაშვილი: „არაფრის დაელოდები ვაპირებ“

## რაც უნდა იყოს ხადხი უკმაყოფილო და როგორ უმდის საქართველოს ხელისუფლებას ხელს უკრინაში თანამდებობებზე ქართველების დანიშვნას

**ერუსლიანი შილია**  
557-100-768  
ფარული მოსმენების შესახებ კანონი დამტკიცებულია, პრეზიდენტის ვეტოც დაძლეული, მაგრამ ფაქტია, მწვევ დაპირისპირებისა და „ნითელი ხაზების“ გადაკვეთის შემდეგ, საპარლამენტო ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. რამდენად შეძლებს საპარლამენტო უმრავლესობა თანამშრომლობას თუ მომავალშიც ყველა კანონპროექტი ასეთივე დაპირისპირების მიზეზი უნდა გახდეს, „ვერსიასთან“ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სასიაშვილი** განმარტავს.

— ქართული პოლიტიკა და საზოგადოება ზომბირებულ საპარლამენტო უმრავლესობას შეეჩვივა. ასეთი იყო ნაციონალური მოძრაობის ცრხანლიანი მმართველობის სტილი და დღეს ამიტომაც გვიკვირს პარლამენტში დემოკრატიული ურთიერთობები. შესაძლოა, უმრავლესობის ნევრებს განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, ერთმანეთთან ვიდებატოთ კიდევ, მაგრამ ეს

ისაა, რაც გვინდოდა. თუ სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებას გადახედავთ, ეს ჩვეულებრივი პროცესია. მაგალითად, ამერიკაში ზოგიერთი „დემოკრატი“ რესპუბლიკელების პროექტს უჭერს მხარს ან პირიქით. თითოეულ ადამიანს კონკრეტულ საკითხზე შინაგანი რწმენა და ინდივიდუალური შეხედულება აქვს. პრინციპული პოზიციების შეცვლას კი, ადამიანებს ვერ ვაძილებთ. პირიქით, ნავახალისებთ! სწორედ ამ პრინციპებმა გაგვავრთიანა და ჩვენი ძალაც განსხვავებული აზრის პატივისცემაშია!

— უმრავლესობის ნევრებს შორის დებატები პატივისცემის საზღვრებს გასცდა და ეკა ბესელიას აზრით, „ნითელი ხაზებიც“ გადალახა. ამის შემდეგ როგორ წარმოვიდგინოთ უმრავლესობაში თანამშრომლობა, თუ ყველა კანონპროექტმა „მოსმენების შესახებ კანონის“ ბედი უნდა გაიზიაროს?

— დაძაბულობის მიუხედავად, ჯამში, ქვეყანამ გაიმარჯვა, რადგან გამოჩნდა, რომ პარლამენტში კულტი არ არის. ჩვენ ესნავლობთ და ახალ დემოკრატიულ რეალობას ვერგებთ. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ვერაინ წარმოვიდგინა, რომ 280 დამოუკიდებელი, უპარტიო კანდიდატი გაიმარჯვებდა და ცესკო-ც ვინრო პოლიტიკურ ინტერესებს არ დაუჭერდა მხარს. საპარლამენტო უმრავლესობაში შექმნილ დაძაბულობას კიდევ ერთი ახსნა აქვს: ნაციონალურ მოძრაობასთან ურ-

### ქრნალისტური გამოკითხვა

## სქემა, როგორცაა ღავით ბეუაშვილია თხოელაქტრო ცანტრალი ხელში ჩაიგდო

მე-3 გვერდიდან

— ბატონო ლევან, რა მიზნით შეიძინეთ „იტერასგან“ „თეცი“ 2006 წელს?

— ამ ტერიტორიის სრულ ათვისებას და რიგი პროექტების განხორციელებას ვაპირებდით, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა შეგვიშალა ხელი. „თეცი“ ტერიტორიაზე, თანამედროვე საჯარო ცენტრისა და სასტუმროს აშენებას ვაპირებთ, ამიტომ ჩვენს ინტერესებში არ ჯდება ამ ქვესადგურის არსებობა. პრობლემის მოგვარების მიზნით, ჯერ კიდევ სამი წლის წინ დავინწყეთ „თელასთან“ მოლაპარაკება. „თეცი“ ტერიტორიაზე, ორი მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი დგას, რომელიც 25 000 აბონენტს ემსახურება. ისინი 70-იან წლებში დაამონტაჟეს. უკვე მოძველებულია. ჩვენი პერსონალი ამ აპარატურას მომსახურებას საკუთარი ხარჯით უწევს, მაგრამ არ არსებობს რეზერვი, კაპიტალური განახლება განვახორციელოთ. „თეცსა“ და „თელასს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, „თელასს“ აბსოლუტურად უპრობლემო წვდომა აქვს „თეცის“ სრულ ტერიტორიაზე; მეტიც, „თელასი“ ყოველწლიურ ტექნიკურ აუდიტს ატარებს, რომლითაც დასტურდება, რომ „თეცი“ უსაფრთხოების იმ მინიმალურ მოთხოვნებს შეესაბამება, რაც დაცული უნდა იყოს. როგორც უკვე გითხარით, ამ ტერიტორიაზე სერიოზული პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, რასაც ეს ტრანსფორმატორები და 28-ფიდერისანი გამანაწილებელი ქსელი ხელს უშლის. მოლაპარაკებაში, რომელიც „თელასის“ ხელმძღვანელობასთან დავინწყეთ, სახელმწიფოც იყო ჩართული, მათ შორის, თბილისის მერია, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროები. შევთანხმდით, ჩვენს საკუთრებაში არსებული, 10 300 კვადრატული მეტრი მიწის ფართობიდან, 1 500 კვ/მეტრი მიწის ნაკვეთი ჩამოვუჭერთ სახელმწიფოს და ვაჩუქებთ, რათა ამ ტერიტორიაზე, განახლებული ქვესადგურები განთავსებულიყო. მიწის ეს ნაკვეთი უკვე სახელმწიფოს საკუთრებაშია, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. ამის შემდეგ, „თელასსა“ და ეკონომიკის სამინისტროს შორის უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება, რათა ჩვენს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, კომპანიას თანამედროვე ტრანსფორმატორები და ფიდერები განთავსებინა.

— ახლა რა ეტაპზეა „თელასის“ ხელმძღვანელობასთან დაწყებული მოლაპარაკება?

— მოლაპარაკება გრძელდება. ვერ ვიტყვი, რომ „თელასის“ ხელმძღვანელებთან პრობლემური ურთიერთობა გვაქვს. იმედია, მერიისა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად, მოლაპარაკებას დავასრულებთ და ხელშეკრულებასაც მალე გავაფორმებთ, რაც საშუალებას მისცემს „თელასს“, ორი, ახალი ტრანსფორმატორი შეიძინოს და ჩვენს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, ფიდერებთან ერთად განთავსდეს. დღეს, ვერც ჩვენ ვდებთ ინვესტიციას ამ ტერიტორიაზე, რადგან ეს ინფრასტრუქტურა გასატანია.

— „თელასისგან“ პასუხი არ მივიღიათ?

— „თელასს“ ოფიციალური პასუხი ჯერ არ გაუცია, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე შეხვედრა უკვე გვექონდა. როგორც ვიცი, „თელასსა“ პროექტზე მუშაობა დაიწყო, რადგან მათაც ესმით, რომ ეს ქსელი უკვე მოძველებულია და მისი განახლება აუცილებელია, რათა თბილისის ცენტრალური უბნები ელექტროენერჯის გარეშე არ დარჩნენ.

— დაუშვებია, „თელასსა“ პროექტზე მუშაობა დაასრულა და თქვენს მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ახალი ტრანსფორმატორები და ფიდერები დაამონტაჟა, ვის საკუთრებაში გადავა „თეცი“ ამის შემდეგ?

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება. ამის შემდეგ, სახელმწიფოს შეუძლია, გრძელვადიანი ხელშეკრულება გაუფორმოს „თელასს“. ეს უკვე ჩვენი გადასანწყვეტი აღარ არის, ამაზე სახელმწიფო და „თელასი“ უნდა შეთანხმდნენ.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენი ამ განცხადების შემდეგ, პრობლემას ვერ ვხედავ...

— ხომ გითხარით, „თეცი“ არაფერ შუაშია! ძალიან ადვილია მამუკა ხაზარაძისკენ თითის გამოშვრა, მაგრამ რეალურად, ის არაფერ შუაშია! მეტიც, ჩვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთი ჩამოვიჭერთ და სახელმწიფოს ვაჩუქებთ.

— მოლაპარაკება ამდენ ხანს რატომ ჯანჯლდება?

— ნებისმიერი კაპიტალდაბანდება კომპანიისთვის სერიოზული ხარჯია. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მსგავსად, „თელასსაც“ თავისი საინვესტიციო პროგრამა და საკუთარი პრიორიტეტები აქვს. ამ პერიოდში, ძალიან კარგად ვემსახურებოდით „თელასს“ და უზრუნველვყოფდით ამ სისტემის განმართულ მუშაობას, „თელასს“ ჩვენი მხრიდან პრობლემა არ შექმნია. ჩანს, ზედმეტი ინვესტიციის განევა მათთვის რთული გადასანწყვეტია, თუმცა იმედი მაქვს, საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მეტიც, „თელასისთვის“ ამ ინფრასტრუქტურის გადატანა მომგებიანი იქნება, რადგან იმ თანხას, რასაც ჩვენ გვიხდიან წელიწადში, უხეში გათვლებით, დაახლოებით, 5 წლის შემდეგ, სრულად ამოიღებენ. ტრანსფორმატორები და ფიდერები მათ საკუთრებაში იქნება, იჯარა გადასახდელი აღარ ექნებათ და 25 000 აბონენტს თვითონ უფრო კომპეტენტურად მოემსახურებიან, ვიდრე ჩვენ.

— წელიწადში რა რაოდენობის თანხას უხდის „თელასი“ „თეცს“?

— დენის გატარების ტარიფი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, სემეკის მიერაა დადგენილი — 1 კილოვატსაათ ელექტროენერჯიაზე, 0.045 ლარი. უხეშად რომ დავთვალოთ, წელიწადში, დაახლოებით, 500 000 ლარი გამოდის. სხვათა შორის, კომპანია „ჯი არ დისის“ არანაირი იურიდიული ვალდებულება არ გააჩნია, „თეცის“ გამართული მუშაობა უზრუნველყოს, რადგან ეს ჩვენი ბიზნესი არ არის, ჩვენ ეს საქმე არ გვესმის და ამით ფულს ვერ ვშოულობთ, მაგრამ როგორც გითხარით, წლებია, ვემსახურებით „თელასს“ და ამ ხნის განმავლობაში, მის შენახვაზე, დაახლოებით 3 000 000 ლარამდე დავხარჯეთ.

თიერთობისას არამხოლოდ ვუპირისპირდებით ოპოზიციას, ზოგჯერ ზღვარსაც ვცდებით, რადგან ამ პარტიამ მართლაც გაგვამწარა. ჩვენი პასუხები ხშირ შემთხვევაში სიმწრის გამოცხადდა. როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა ურთიერთობისას ეს დამოკიდებულება ვერ გაწვინათ. აბსოლუტურად მიუღებელია კოლეგების მიმართ ირონიული დამოკიდებულება. ეს უნდა შეიცვალოს! მჯერა, დრო გავა და ამასაც მოვერევი.

— როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა გქონდეთ ინფორმაცია, რომ ქვეყანა საკმაოდ მწვევე საგარეო გამოწვევების წინაშე დგას, ამას რამდენად აცნობიერებთ საპარლამენტო უმრავლესობის ნევრები?

— დემოკრატიის დრო ყოველთვისაა! შესაძლოა, დღეს გარკვეულ საკითხებში გვეძლევა, შეცდომებს ვუშვებთ, მაგრამ ამას გამოვასწორებთ. თუ დემოკრატიის განვითარებისას დაუშვებთ შეცდომას, ისეთ გადაუსვლელში წავალთ, სადაც ნაციონალური მოძრაობა ცხრა წლის განმავლობაში გვაცხოვრებდა. მომავალში შევეცდებით, სანამ ღია მსჯელობას დავინწყებთ, ძირითადად, ერთიან პოზიციებზე ჩამოვყალიბდეთ, თუმცა ამ „განსხვავებულობის“ კი არ უნდა შეგვეშინდეს, პირიქით, გავვიხარდეს!

— ამასობაში, ექსპრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინაში ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე უარს ამბობს — საქართველოში კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი. „ქართული ოცნების“ „განსხვავებულობა“ პოლიტიკურ ოპონენტებს არ აძლიერებს?

— ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი საერთოდ არ მინტერესებს! ის მუდმივად საკუთარ პიარზე მუშაობს, თითქმის მალაქს ვხედავთ, აქცევს ქვეყანას და ა.შ. ამას საზოგადოების ნევრების მოსაშლელად აკეთებენ, თორემ არა მგონია, სააკაშვილს მსოფლიოში ისეთი იმიჯი ჰქონდეს, მალაქს თანამდებობაზე დასანიშნად კუდში დასდევდნენ. უკრაინელი ხალხის არჩევანში ვერ ჩავერევი, მაგრამ იმის გამო, რომ კარგი ურთიერთობა გვაქვს და გვსურს, ევროპისკენ ერთად ვიაროთ, არანაირი სურვილი არ გვაქვს, საქართველოში ბრალდებული პირები უკრაინის ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ.

— ეს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაზე იმოქმედებს?

— ბუნებრივია, ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნების უკრაინის მთავრობაში დანიშვნა ორმხრივ ურთიერთობაზეც იმოქმედებს. არ მინდა, უკრაინა მიხეილ სააკაშვილის პიარის მსხვერპლი გახდეს.

— მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას ბრალს სდებს, უკრაინაში ქართველების დისკრიმინაციას ეწვეიან და თანამდებობაზე დანიშვნას ხელს უშლიანო. ამ ინფორმაციას ადასტურებთ?

— არაფრის დამალვას ვაპირებ, დიახ, ვეუბნებით! თვალყურს ვადევნებთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს და მომავალში გამოჩნდება, ითვალისწინებენ თუ არა ჩვენ რჩევებს. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მათ ვერც ოპოზიციამ შეამცირეს ეს რისკები. დღესაც ნაციონალურების გამოხტომები ქვეყნის ინტერესებსა და სახელმწიფოებრიობას უშლის ხელს. ახლა საზოგადოებას აპოკალიფსით აშინებენ — კოალიცია დაიშლება და ხელისუფლება ჩამოიშლებაო, ეკონომიკა არ ვითარდებაო, ადამიანის უფლებები ირღვევაო... აპოკალიფსის მეოცნებეები არიან. მათი აპოკალიფსური ოცნებები არა ხელისუფლებისთვის ბრძოლას ან საარჩევნოდ პოლიტიკური ქსელების ჩანერვას, არამედ ამომრჩევლის შენარჩუნებას ემსახურება. ემზიანთ, შერჩენილი მხარდამჭერებიც არ გაეცეთ. სულ ესაა მათი გეგმა. ამიტომ ქმნიან მითს — ჩვენ დავბრუნდებითო. არ მეგულება ადამიანი, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობა და პოლიტიკური ზენოლა ერთხელ იწვინა, მათი შავ-ბნელი საქმეების შესახებ ინფორმაცია მიიღო და მინც ნაციონალურებისადმი ნოსტალგია გაუჩნდა. თუ რამე შეგვეშლება და „ქართული ოცნების“ ხმებს სხვა პოლიტიკური ძალა წაიღებს, ეს მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური ნაბიჯების დამსახურება იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას ნაციონალური მოძრაობა ვერასოდეს მოახერხებს.

— და ვინ ძლიერდება თქვენ ოპოზიციისაში, ირაკლი ალასანიას გუნდი წავართმევთ საარჩევნო ხმებს?

— ამას მომავალი გვაჩვენებს. ხელისუფლებაში ყოფნა საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. ხშირად არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიღდება გინვრს, მაგრამ ისეთი სამართლიანი და წესიერი ხელისუფლება როგორც ახლაც, საქართველოს უახლოეს ისტორიაში არ ჰყოლია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ხელისუფლებაში ვარ, ეს რეალობაა. შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე ქართველ ხალხს პიარის საშუალებით ტვინი აუბნო, მაგრამ საბოლოოდ, რეალობას ზუსტად აღიქვამს.

— მაშინ თქვენ დაპირებებს შეგახსენებთ, რომელთა უმრავლესობა არ შესრულდება...

— რაც გვაკეთებ, ზედაპირზე მალე გამოჩნდება. ხშირად გვსაყვედურობდნენ, „ქართული ოცნება“ არაფერს აკეთებსო, მაგრამ მოგვიანებით, ბევრმა დაინახა, რომ ჯანდაცვის სისტემაში საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმა გავატარეთ, სოფლის მეურნეობაშიც წარმატებები გვაქვს, თითოეულ ოჯახს 200 ლარი მარტო წიგნების შეძენით ეზოგება. ამ ცვლილებებს მარტივად არ უნდა შევხედოთ.

— პარალელურად, პროდუქტებზე ფასები გაიზარდა და სოციალური დახმარებების მიუხედავად, ყოფითი ცხოვრებაც არ გაუმჯობესებულა. ფიქრობთ, ხალხის ნდობის მოპოვებას მეორე ჯერზე შეძლებთ?

— ხალხი ყოველთვის უკმაყოფილო უნდა იყოს. თუ საზოგადოება ყველაფრით კმაყოფილი იქნება, ხელისუფლება მხარეთქობნე ნამონვება და არაფერს გააკეთებს. 2016 წელს გამოჩნდება კიდევ ერთხელ გამოგვიცხადებს თუ არა ქართველი ხალხი ნდობას. მანამდე ამაზე საუბარი ნაადრევად მიმანჩია.





# შესაძლებელია თუ არა საქართველოში ხარისხიანი განათლების მიღება მაღალი ტარიფების გარეშე

„მიღე თანამედროვე პრაქტიკული ცოდნა საქართველოში!“ — აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ეს სლოგანი მხოლოდ ფრთხილად ფრაზა როდია — უმაღლესი დონის პროგრამები, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, გაცვლითი პროგრამები უცხოურ უნივერსიტეტებთან, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო კონფერენციები, ნაშრომებისა თუ ჟურნალების პრეზენტაციები, ქართული თუ უცხოელი სტუმრის მიღება, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თარიღისთვის გამართული საღამოები, გასვლითი ღონისძიებები სტუდენტებისათვის — ეს ის აქტივობებია, რომელთა დამსახურებით სტუდენტური ცხოვრება გაცილებით საინტერესო, სწავლის პროცესი კი, სასიამოვნო ხდება. უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი ხარისხიანი განათლების მისაღებად. აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი **დავით ჩიჩქაძე** იმპრინტში აცხადებს, რომ სახელმწიფო გრანტთან გათანაბრებული ტარიფების ფონზე, მათ შეძლეს, შეეცვალებოდა მოსაზრება, რომ თითქოს საქართველოში მაღალი ხარისხის განათლების მიღება ბევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის.



## აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი — პრაქტიკული ცოდნა დასაქმებისათვის!

— აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა დაარსების დღიდან დაანერგა სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს საქართველოში ხარისხიანი განათლების მისაღებად აუცილებელია განსაკუთრებულად მაღალი ტარიფები. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის საფასური სახელმწიფო სასწავლო გრანტთან გათანაბრებულია. გადასახადი ოდნავ განსხვავებულია მაგისტრატურაში, თუმცა ეს უმნიშვნელოა სწავლებისა და განათლების იმ ხარისხის ფონზე, რომელსაც უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს.



— **თქვენი უნივერსიტეტის მისიაა თუ დავედრობით, ამ უნივერსიტეტში სტუდენტი ევროპულ განათლებას იღებს. რა იგულისხმება „ევროპულ განათლებაში“, მხოლოდ ხარისხი?**

— ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა, 1999 წლის 19 ივნისს, ხელი მოაწერეს ბოლონის დეკლარაციას და გამოახატეს საერთო მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ამჟამად ბოლონის პროცესში ჩართულია ევროპის 46 ქვეყანა. მოგეხსენებათ, საქართველო აღნიშნულ პროცესს შეუერთდა 2005 წელს. შესაბამისად, საქართველო შეუერთდა ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ბოლონის პროცესის დოკუმენტების სახით და რაც, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს განათლების ხარისხის ევროპული სტანდარტების უზრუნველყოფას. სწორედ რომ, აღნიშნული სტანდარტის კენსწრაფვა და მაქსიმალურად მიახლოება არის მიზანი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ევროპულ განათლებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკომისიის ექსპერტი განათლების საკითხებში ქ-ნ ირინა დარჩია გახლავთ უნივერსიტეტის პრორექტორი. უნივერსიტეტს როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ასევე დარგობრივი სპეციალიზაციების მიხედვით, ჰყავს ძალიან გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ევროპული სტანდარტის მიხედვით დამუშავებული პროგრამებით და ამიტომაც არის, რომ საერთაშორისო უნივერსიტეტებს, ძირითადად, არ გააჩნიათ არანაირი პრობლემა ჩვენთან თანამშრომლობისა, ჩვენს მიერ მინიჭებული კრედიტების აღიარებისა, მაგალითისთვის, ჩვენი პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტები.

— **და რა არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც აბიტურიენტებმა არჩევანი მაინცდამაინც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტზე უნდა შეაჩერონ?**

— მოდი, ასე ვთქვათ, რა ძირითადი კრიტერიუმებით უნდა გამოირჩეოდეს უმაღლესი განათლების დაწესებულება, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი განათლების მიღება, ესენია:

1. თანამედროვე და მაღალი სტანდარტის მქონე სასწავლო პროგრამები;
2. მაღალკვალიფიციური პერსონალი;
3. გამართული სასწავლო პროცესი;
4. განვითარებული და კომფორტული ინფრასტრუქტურა;
5. საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს, ეზიაროს უცხოელი სპეციალისტების გამოცდილებას, როგორც საკუთარ უნივერსიტეტში, ასევე დაბრკოლებების გარეშე (უნივერსიტეტის ხელშეწყობით) შეეძლოს საერთაშორისო ქვეყნების უნივერსიტეტებში გამგზავრება;
6. (და რაც ძალიან მნიშვნელოვანია) სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჰქონდეს დასაქმების კონკრეტული პერსპექტივა.

ყველა ზემოთმოყვანილ კრიტერიუმს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს, მე მოგახსენებ ჩვენი უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტების შესახებ და აქვე აღვნიშნავ, რომ ახლახან ჩვენი ორი სტუდენტი გაემგზავრა ბრიტანეთში სწავლის გასაგრძელებლად, ერთი ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლაში (LSBF), მეორე — ლონდონის კომერციის სკოლაში (LSC) და თითოეულმა მათგანმა მიიღო საუნივერსიტეტო სტიპენდია 6500 ფუნტისა და 5300 ფუნტის ოდენობით.

— **რაც შეეხება უცხოელ პარტნიორებს, კონკრეტულად რომელ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი?**

— ჩვენი პარტნიორები არიან ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლა (LSBF), ლონდონის კომერციის სკოლა (LSC), ავსტრიის პედაგოგიური უნივერსიტეტი (PHO), კასტანტას „ანდრეი საგუნას“ უნივერსიტეტი (რუმინეთი), ტურინის უნივერსიტეტი (ლატვია), შავი ზღვის აუზის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ქსელი UNIVER SEA. NET, რომლის ფარგლებში ვთანამშრომლობთ თურქეთისა და მოლოდოვის უნივერსიტეტებთან, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროპის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტთან. მოლაპარაკებაში ვგულისხმობ შეთანხმებას იმ დეტალების შესახებ, რა პრივილეგიებით ისარგებლებენ სტუდენტები ჩვენი მომავალი საპარტნიორო ურთიერთობებით. მუდმივი ურთიერთობა გვაკავშირებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საელჩოებთან, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ჩეხეთის საელჩოსთან. ჩეხეთის პარლამენტის განათ-

— **დასაქმების პერსპექტივას სტუდენტებს როგორ უქმნის?**

— უნივერსიტეტის ხარისხის დამადასტურებელი აუცილებელი პირობა გახლავთ ის, თუ რამდენად ზრუნავს უნივერსიტეტი სტუდენტის მომავალზე, მის დასაქმებაზე. ჩვენ გვყავს უკვე 60-ზე მეტი პარტნიორი ორგანიზაცია როგორც სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე საჯარო სექტორიდან, მათ შორისაა: სასაქონლო-სამშენებლო სამინისტრო, სინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, იურიდიული დახმარების ბიურო, დასაქმების ასოციაცია, ეიჩარ გილდის პრეზიდენტი თავად გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანური რესურსების ეროვნული ასოციაცია, არაერთი საადვოკატო ბიურო, იურიდიული, სამენარმეო, საფინანსო და დეველოპერული კომპანია. ჩვენთან ასწავლიან ის კვალიფიციური კადრები, რომლებიც ამავე დროს, არიან მოქმედი პრაქტიკოსები, რომელთა ხელშიც ჩვენი სტუდენტები მომავალში ყალიბდებიან სპეციალისტებად. მიმდინარე პერიოდშიც სტუდენტები გადაიან სტაჟირებას როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებში. ამასთანავე, წარმატებული სტუდენტები დასაქმდებიან საუნივერსიტეტო სივრცეში, ერთი მაგისტრანტი უკვე გახდა უნივერსიტეტის თანამშრომელი. ამჟამად იქმნება სისტემა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს მოთხოვნა-მიწოდებისა და კომუნიკაციის საკითხებს უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის.

— **აცხადებთ, რომ თქვენს უნივერსიტეტში მაღალი სტანდარტების პროგრამებია. სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებული რომელია და ასევე, რომელია ყველაზე მოთხოვნილი სპეციალობა?**



— ჩვენი სტრატეგია ასეთია — განათლების ხარისხი და ის სპეციალობები, რომელიც მოთხოვნილია დასაქმების ბაზარზე. მაგალითისთვის, დაეინყთო მაგისტრატურით: საქართველოში არ არსებობდა საშუალება, მიგელო აკადემიური განათლება ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. ჩვენ გავხსენით, პირველად საქართველოში, ადამიანური რესურსების სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ახორციელებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები,

ლების კომიტეტის დელეგაცია უკვე ესტუმრა ჩვენს უნივერსიტეტს და დაგეგმილი გვაქვს, უფრო მეტად გავაღრმავოთ ურთიერთობები ჩეხეთის წამყვან უნივერსიტეტებთან.

— **უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა, საქართველოში უცხოელი ლექტორების ჩამოყვანის შანსსაც იძლევა. თქვენს უნივერსიტეტში რომელი ქვეყნების კოლეგები კითხულობენ ლექციებს?**

— ამჟამად, მაგისტრატურის პროგრამებზე ყოველ სასწავლო სემესტრში ჩვენს სტუდენტებს სალექციო კურსს უკითხავენ ავსტრიის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი იან ბოემი, ამერიკის კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორი ტაირონ ბინეო. გარდა ამისა, იმართება საჯარო ლექციები უცხოელი სპეციალისტების მიერ, დაამუშავებულია ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოშივე ჰქონდეს საშუალება ჩვენს სტუდენტებს, ეზიარონ საერთაშორისო დონის უცხოელი სპეციალისტების გამოცდილებას.

დასაქმების პერსპექტივას უცხოეთში აქვს მიღებული განათლება. გვაქვს განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც უცხოელი კოლეგები, ასევე ქართველი სპეციალისტები, განათლების სფეროს მკვლევარები და მოქმედი ექსპერტები. გვაქვს ბიზნესის ადმინისტრირების საკმაოდ საინტერესო და განსხვავებული სამაგისტრო პროგრამა და, რა თქმა უნდა, სამართლის ერთ-ერთი გამორჩეულად მაღალი დონის სამაგისტრო პროგრამა აღიარებული სპეციალისტებითა და სპეციალიზაციით. გადავიდეთ საბაკალავრო პროგრამებზე, ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათი სამართლის პროგრამაა გამორჩეული სპეციალისტებით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების პროგრამები, ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით სტუდენტებს ვთავაზობთ, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას შესანიშნავი პერსონალით და ახლახან დავამატეთ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა, გა-



# აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი — პრაქტიკული სოფლა დასაქმებისათვის!

მორჩეული პროგრამის მაღალი სტანდარტით, შინაარსითა და სპეციალისტებით. გვაქვს ასევე ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაც. ისე გამოდის, პროგრამების შექმნა მინევეს, მაგრამ ეს რეალობაა და ვერ გავეცევით.

უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და განვითარება. უნივერსიტეტმა გამოსცა სახელმძღვანელოები, მათ შორის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტთან ერთად, რომლის ხელმძღვანელი ჩვენი ასოცირებული პროფესორი გახლავთ და ყოველწლიურად გამოცემით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს — „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, დამუშავების პროცესშია და მალე გამოიცემა რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო. ახლახან ჩავატარეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლების საკითხებზე, მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. უნივერსიტეტში იმართება კულტურული, ზოგადსაგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები, ამჟამად მიმდინარეობს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პროცესი და თვითმმართველობის არჩევის შემდეგ, რასაკვირველია, იქნება კიდევ უფრო მეტი აქტივობა. უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მისაღებად, მას არ უნევს დამატებითი თანხების გადახდა დაგვიანება/გაცდენაზე, დამატებითი გამოცდაზე გასვლისას (თუმცა ლიმიტირებულია და არის სპეციალური, არაფინანსური სანქციები), მთავარია, მან მიიღოს პროდუქტი, რაშიც ის თანხას იხდის ანუ ისწავლოს და მიიღოს ხარისხიანი განათლება. მოკლედ, ყველა გზას ვპოულობთ, რომ სტუდენტებმა ჩვენთან მიიღონ ხარისხიანი განათლება და ამისათვის მათ არ უნევთ ზედმეტის გადახდა. ეს ის ნიშაა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს უჭირავს და პოზიციის დათმობას არც მომავალში აპირებს.

## რუსულენოვანი პროგრამის მართვის დეპარტამენტის უფროსი აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესახებ დანერგვით ინფორმაციას გვანდის:

— ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს იურიდიულ, ბიზნესისა და ეკონომიკის და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება 12 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა, მათ შორის ერთი ინგლისურენოვანი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მეორე წელია ახორციელებს სტუდენტთა მიღებას, მან უკვე ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში და ამჟამად 700-ზე მეტი სტუდენტი ჰყავს. უნივერსიტეტის პროგრამები აგებულია და სწავლების პროცესში გამოყენებულია, განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მეთოდები და ტექნოლოგიები. კურსები, თეორიული ცოდნის გარდა, მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს.

საბაკალავრო პროგრამებში შეტანილია კვლევითი კომპონენტი, რათა სტუდენტს სწავლების პირველი საფეხურიდანვე გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები და გაუადვილდეს მომდევნო საფეხურებზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელება, სადაც კვლევითი ნაწილი გაცილებით მოცულობითია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლების ფორმა სამაგისტრო პროგრამებზე განსხვავებულია, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე, სემესტრული ნაცვლად, ტრიმესტრული სწავლებაა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება მაგისტრანტების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო — მათი უმრავლესობა მუშაობს და უნივერსიტეტსა და სამსახურს შორის უნევს დროსა და ენერჯის განაწილება. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო მასალაც საკმაოდ მოცულობითია, ტრიმესტრული სწავლებისას მაგისტრანტები, ხუთის ნაცვლად, სამ საგანს გადიან. სწავლის საერთო ხანგრძლიობა არ ეზრდება და სწავლება უფრო ეფექტურია. ლექციები კი საღამოს სა-

ათებში ტარდება, რათა მაგისტრანტებს მუშაობისთვისაც ხელსაყრელი პირობები შეექმნათ.

**აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს წარმართავენ გამოცდილი, მაღალკვალიფიციური, უკვე ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები — ზურაბ ძლიერიშვილი, ზვიად როგავა, ირინე ბოხაშვილი, ავთანდილ გაგნიძე, ლილი ბიბლაშვილი, ირინე დარჩია, თამარ ზაალიშვილი, ლალი ბაქრაძე, ვარდიკო გვარჯალაძე, ნინო სოზაშვილი — ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ აკადემიური პერსონალისა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ.**

უნივერსიტეტმა, გამოცდილი უკვე ცნობილი მეცნიერების გარდა, გადამწყვიტა, მოეწვია ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებმაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მოიპოვეს დოქტორის ხარისხი და დაბრუნდნენ საქართველოში. ჩვენი აზრით, ამ რესურსის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. უნივერსიტეტი გამოირჩევა საუკეთესო ინფრასტრუქტურით, უზრუნველყოფილია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. კერძოდ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია ყველა საავადმუშელო სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსები); კომპიუტერული რესურს-ცენტრები (კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი, შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, ბუფეტი. ძალიან მნიშვნელოვანია სამედიცინო დაზღვევა სტუდენტებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის.

## ზვიად როგავა — იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— ჩვენ წელს დავიწყეთ სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებული ჯერ-ჯერობით არ გვაყავს, სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე 80-მდე სტუდენტი მივიღეთ, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნივერსიტეტს უკვე აქვს ნდობის საკმაოდ მაღალი ხარისხი. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, ძირითადად, თსუ-ს კურსდამთავრებულები არიან. სამაგისტრო პროგრამა საკმაოდ განსხვავებულია. თავად სტუდენტი ახდენს სწავლების კონცენტრირებას. მას შეუძლია, აირჩიოს საგნები კონკრეტულად კერძო, სისხლის, საჯარო სამართლის მოდულებიდან ან ყველა მოდულიდან ერთად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, რა თქმა უნდა, კლინიკურ სწავლებას, ანუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას. საბაკალავრო პროგრამაზე ასევე განსხვავებულია და ძალიან საინტერესო გვაქვს. შეთავაზებული კურსების უმრავლესობა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებაზე, მაგალითად, საპროცესო დოკუმენტების შედგენისა და ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდები, იმპირირებული სასამართლო პროცესები, კაზუსის ამოხსნის მეთოდები. ვაპირებთ, სამაგისტრო პროგრამაში შევიტანოთ ევროკავშირის სამართლის მოდული, რაც ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტუალური იქნება და, რაც მთავარია, უნივერსიტეტს ამის საკმაოდ რესურსი გააჩნია.

ნინო ლურსმანაშვილი



# ჰიპერმარკეტ „გორგოზი“ მსოფლიო ბრენდის „გენჩის“ ახალი სალავაზები უკვე ხელმისაწვდომია

ამიერკავასიაში პირველმა ჰიპერმარკეტმა „გორგოზი“ მსოფლიო ბრენდის „გენჩის“ განახლებული სალავაზების პრეზენტაცია გამართა. მულტინაციონალური ბრენდის გენერალურმა დირექტორმა, ტოლგა კაილარმა ჰიპერმარკეტ „გორგოზი“ს, როგორც ლიდერს სამშენებლო და სარემონტო მასალების გაყიდვის კუთხით, სპეციალური სიგელი გადასცა და თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა.

მულტინაციონალურმა ბრენდმა „გენჩმა“ რებრენდიცი დაასრულა და პირველი ქვეყანა, სადაც ახალი დიზაინისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული სალავაზები გაიყიდება, საქართველო იქნება. „მოსარგებლები ვართ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი ბრენდი ძალიან პოპულარულია. მსოფლიოს 58 ქვეყნიდან, რებრენდინგის პროცესი საქართველოდან დაიწყო, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ქართველი მომხმარებელი განსაკუთრებული გემოვნებით გამოირჩევა. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი პარტნიორი საქართველოში ჰიპერმარკეტი „გორგოზია“, რადგანაც ის დღეს ბაზარს ყველაზე გამორჩეულ პროდუქტს ყველაზე იაფ ფასად სთავაზობს და ყოველდღიურად ათასეულობით მომხმარებელს მასპინძლობს“, — განაცხადა ტოლგა კაილარმა, გენჩის დამფუძნებელმა.

„გენჩი“ მულტინაციონალური კომპანიის „კაილარ ქიმიის“ ბრენდი, რომელიც 1976 წელს დაფუძნდა და 58 ქვეყანაში 500 სახის სალავაზს ყიდის. საქართველოში ბრენდი „გენჩის“ ექსკლუზიური შემომტანია ჰიპერმარკეტი „გორგოზია“.



## თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნა



თბილისის რიგით მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნა „ამირანში“ გაიხსნა. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრო. აჩვენეს რეჟისორ მოჰსენ მამალაბაძის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი „პრეზიდენტი“. თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი თემა გარემოს დაცვაა. ფესტივალის ოფიციალური ფერი მწვანეა, რაც მწვანე აქტივიზმს, ეკოცნობიერების ამაღლებასა და ადამიანის ბუნებასთან სიახლოვეს განასახიერებს. შესაბამისად, სპეციალურ სექციამში წარმოდგენილია ფილმები, რომლებსაც სწორედ ეს თემატიკა აერთიანებს. თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, დაგეგმილია მასტერ-კლასები, რომლებსაც სტუდენტებისა და კინომოყვარულებისთვის სპეციალურად მოწვეული კინომოცოდნეები ჩაატარებენ. თბილისის რიგით მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 1-7 დეკემბერს ჩატარდება.

„ინტერპრესნიუსი“



# „ნაგებული ომს დაპარტოვებით თუ მუშახელის ქნევას, ფაქტია, გადაწყვეტილების მისაღებად ხელისუფლებას პასუხისმგებლობა არ ჰყოფნის“

## რაზე შეთანხმდნენ არასაპარტოვანო ოპოზიციის წარმომადგენლები პარტოვანების თავმჯდომარესთან და წავა თუ არა კომპრომისებზე ხელისუფლება

რუსულან შელია  
557-100-768

საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესატანად ხელისუფლებასა და არასაპარტოვანო ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყო. უმეტესად, მსგავსი მოლაპარაკებები უშედეგოდ სრულდება, მაგრამ არასაპარტოვანო ოპოზიციის არ კარგავს იმედს, რომ მმართველი გუნდი მის მოთხოვნებს ამჯერად მაინც გაითვალისწინებს და მინიმუმ, მაჟორიტარულ სისტემას გააუქმებს. ოპოზიციის მიერ შემუშავებულ ცვლილებებს პარტოვანების თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უკვე გაეცნო. რა მოლოდინი აქვს არასაპარტოვანო ოპოზიციას და საბოლოოდ, მოლაპარაკების რა ფორმატზე შეთანხმდა ორი მხარე, „ვერსიასთან“ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ვიქტორია ჩინხაძე განმარტავს.

— სახელისუფლო პარტიები, ოპოზიციის ყოფნისას, საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს ჩვენთან ერთად ითხოვდნენ, დღეს კი იმავე ცვლილებებზე უარს ამბობენ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 50%-იანი ბარიერის დაწესებასაც საარჩევნო კანონმდებლობაში ისეთი პირობები მოაყოლებს, ბარიერის დაწესებას აზრი დაუკარგავს — თუ არჩეული მერი და გამგებელი მმართველ გუნდს არ მოეწონა, მისი გადაყენების უფლება აქვს, რაც არჩევითობის პრინციპს ჩრდილავს. რამდენიმე წლის წინ, რესპუბლიკელებთან, „სონ-სერვატორებსა“ და კოალიციის სხვა სუბიექტებთან ერთად მაჟორიტარულ სისტემასაც ვაკრიტიკებდით, რაც რეალურად ქართული პოლიტიკისა და პარტოვანობის განვითარებაში დამაბრკოლებელ ფაქტორად ჩამოყალიბდა. როგორც კი ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაჟორიტარების უპრინციპო კორუფციის გამოყენება სათავეს დაიწყეს. როცა ცოტა ხნის წინ, „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაჟორიტარები უმრავლესობა გაიმყარა, ამ სისტემის მანქანაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა.

— დიდი ხანია ამ მოთხოვნებს აყენებთ, მაგრამ შედეგი ვერც წინა და ვერც ახლანდელი ხელისუფლების პირობებში მიიღეთ. არ ფიქრობთ, რომ თამაშის იგივე წესებით ამჯერადაც წაგებულ ომში მიდინათ?

— დიახ, ბევრი საკითხია, რაც წლიდან წლამდე გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება და ხელისუფლებიდან ხელისუფლებამდე მემკვიდრეობით გადადის. მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციების ცვლილება, საარჩევნო დავების საკითხში მოქნილი და ობიექტური მექანიზმის დამკვიდრება, საარჩევნო სიები... ვინც ამ მახინჯ სისტემას ინარჩუნებს, საბოლოოდ, ის აუცილებლად აგებს! გნებავთ, ამას წაგებული ომი დავარქვათ, გნებავთ, უსაგნო მუშტების ქნევა, ფაქტია, სახელისუფლო ძალებს ამ გადაწყვეტილების მისაღებად პოლიტიკური პასუხისმგებლობა აღარ ჰყოფნის.

ნაციონალური მოძრაობა მაჟორიტარებს ხელისუფლების გადაგრეხით ინარჩუნებდა, იგივეს აკეთებს „ქართული ოცნებაც“. თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილმა კი აღნიშნა, რომ მაჟორიტარული კორუფციის მახინჯი სისტემა, თუმცა კოალიციის იგივე განწყობა არ შეიმჩნევა. მიუხედავად ამისა, თუ ხელისუფლება ქვეყანას რკინის ფარდას არ ჩამოაფარებს, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ახსნა გაუჭირდება, რატომ აყოვნებს ე.წ. მანდატის თანაფარდობის პრინციპის დამკვიდრებას. საერთაშორისო რეკომენდაციებში ხაზგასმითაა აღნიშნული ამ ცვლილებების აუცილებლობის შესახებ. ამიტომ გარკვეულ ხელისუფლებას გარკვეულ დრომდე ვაძლავთ მოუწევს. ამ შემთხვევაში კიდევ ერთ დღემას ვაწყდებით — ვეტოების ეპოქაში ძნელად წარმოიდგენია, „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა და სხვა პოლიტიკური პარტიები ერთ საკონსტიტუციო ცვლილებაზე შეთანხმდეს.

— თავად არასაპარტოვანო ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთიან პოზიციას ჩამოყალიბება მოახერხეთ? რადიკალურად განსხვავებული მოთხოვნების გამო ხელისუფლებას თავად აძლევდით საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე უარის მიზეზს.

— მიუხედავად იმისა, რომ არასაპარტოვანო ოპოზიციის წარმომადგენლებს ბევრ საკითხში დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, შევეცადეთ, საარჩევნო კოდექსზე ერთიან ხედვაზე ჩამოყალიბებულიყავით. ასე რომ, ხელისუფლებას ეს არგუმენტი გამოვაცალეთ. დღეს ვეღარ გვეტყვიან, რამდენ პარტიას მოვუსმინო და რამდენი ცვლილება გავატაროთ საარჩევნო კანონმდებლობაში...

— კონკრეტულად, რა საკითხებზე შეთანხმდით პარტოვანების თავმჯდომარესთან შეხვედრისას, ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისზე თანახმაა?

— დავით უსუფაშვილმა დაადასტურა, რომ ცვლილებების ნაწილს, რომელსაც ოპოზიციის ყოფნის დროსაც ითხოვდა, დღესაც მხარს უჭერს. იგივე აზრზე არიან „თავისუფალი დემოკრატებიც“, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, რა ვითარებაა „ქართულ ოცნებაში“. ამას მომავალ შეხვედრებზე შევიტყობთ. ამ ეტაპზე, პარტოვანების თავმჯდომარესთან ერთმანეთთან აზრების გაცვლით შემოვიფარგლეთ. ვისაუბრეთ ინტერპარტიული ჯგუფის შექმნაზეც, რაც ჩვენთვის ინტერფრაქციულ ფორმატზე ბევრად სასურველია. ინტერფრაქციულ ჯგუფში ყოველთვის საპარტოვანო ფრაქციების ინტერესები დომინირებს. ჯერჯერობით, უცნობია, ნამოვალა თუ არა ამ დამოხმებაზე ხელისუფლება, დავით უსუფაშვილთან საუბრისას ის ძირითადად რესპუბლიკური პარტიის მოსაზრებებს გამოთქვამდა.

— ანუ საარჩევნო კანონმდებლობაზე ახლა ხელისუფლების შიგნით დავობენ?

— არ ვიცი, მაგრამ საუკეთესო პირობები გვექნებოდა, საარჩევნო სისტემის საბოლოო ვარიანტზე ინფორმაცია არჩევნებამდე ორი წლით ადრე რომ გვექონდეს. ხომ უნდა ვიცოდეთ, რა მიმართულებებით ვიმუშაოთ, მაჟორიტარების არჩევაზე ვიზრუნოთ, რეგიონული სია პროპორციული წესით შევარჩიოთ თუ საერთოდ, ერთიანი პროპორციული სია შევადგინოთ? ამ თვალსაზრისით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს მუშაობა ყოველთვის ცაიტნოტის რეჟიმში უწევდა.

— ცაიტნოტისა და უფულობის რეჟიმში, ამჯერად, დაფინანსების მისაღებად რა გეგმები გაქვთ?

— დაფინანსება პოლიტიკური პარტიების აქტივების ქუსლია. დღესაც პარტიების დაფინანსებას შორის ასტრონომიული განსხვავებაა. იგივე ხდება სარეკლამო დროის გადანაწილების თვალსაზრისითაც. ვილაცას აქვს პრივილეგია, ვილაცას — არა. პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთისგან განსხვავებული სასტარტო პირობებიდან უნვეთ ბრძოლა. სხვათა შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სარეკლამო დროის გადანაწილებაზე სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანეთ და დღემდე სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ. ვფიქრობთ, მოსამართლე ამ დისკრიმინაციულ პრინციპს გააუქმებს.

— არ ფიქრობთ, რომ არასაპარტოვანო ოპოზიციის პრობლემაა, როცა ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანაზე ვერ ითანხმებს, თუ მოლაპარაკების ფორმატის გარდა, ბრძოლის სხვა მექანიზმები აღარ დაგროვია?

— ვცდილობთ საკითხი დიპლომატიის რეჟიმში გადაწყვიტოთ. წარსულში წარმატების მისაღწევად სხვა მექანიზმებიც მოგვისინჯავს, მაგრამ არც მაშინ მიგვიღია კონკრეტული შედეგი. დღეს ისევე საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინების იმედს გვაქვს, რომელიც საარჩევნო კოდექსის ცვლილებების მიმართ პრინციპული და შეუვალია. ხელისუფლებას მის განხორციელებაზე კატეგორიული უარის თქმა გაუჭირდება.



### თბილისის №60 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ოჯახში კალაღოვის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია გააჩნდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას აქტიურად აგრძელებს. ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით, ამჯერად საინფორმაციო შეხვედრა თბილისის №60 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა. ახალგაზრდებს შსს-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილი ერთობლივი სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრები: უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი იოსებ კურცხალია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ეკა კენჭაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიმედია-ციფრული გუნდის კოორდინატორი, ფსიქოლოგი თამარ ისაკაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი მანანა ფურცხვანიძე კამპანიის შესახებ ესაუბრნენ.

ოჯახში ძალადობის სხვა საკითხებთან ერთად, მოსწავლეები გაეცნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესულ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა თავისუფლების 1 წლამდე აღკვეთით ისჯება.

შეხვედრაზე მოსწავლეებს კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლები უჩვენეს, რომელთა მიზანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკოთ ცხელ ხაზზე: „112“ ან მიმართოთ უბნის ინსპექტორს, მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გრძელდება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში.

„ვერსიანიუსი“

### შსს-მ ყვარალში პოლიციის მკვლელობა სხალ კვალზე გახსნა



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამართლებრივი დეპარტამენტი, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამომძიებლო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ილია ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამომძიებელმა დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 30 ნოემბერს, ყვარალში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, წლების წინ მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე, ყვარლის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანამშემდეგ გამოძიებელს, პოლიციის კაპიტანს, 1970 წელს დაბადებულ გელა ფ-ს გადაჭრილი სანადირო თოფიდან ზურგში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაჭრილი პოლიციელის გადარჩენა, სამედიცინო ჩარევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა — იგი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამომძიებლო მოქმედებების შედეგად, ილია ს. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში ყვარალში, კუდიგორის ქუჩაზე დააკავეს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიის დატოვება და ინგლისში გამგზავრება. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამომძიებელმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

# საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე აღრეულ ხანაში ოქროს კვალი არ ჩანს!

მაია მიშელაძე

593-51-90-12

ბოლო დროს, არქეოლოგები, ისტორიკოსები და გეოლოგები ბევრს კამათობენ იმის შესახებ, რომელ ეპოქაში, ან რა ხანის საქმიანობას ეწეოდა ადამიანი საყდრისი-ყაჩალიანის ბორცვზე არსებულ მალაროებში. გეოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პრეისტორიულ ეპოქაში, საყდრისი-ყაჩალიანის ბორცვზე ოქროს მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მაშინ შესაბამისი ტექნოლოგიები არ არსებობდა და ქანებში ოქროს შემცველობა ახლაც კი დაბალია. რას მოიპოვებდნენ უძველესი ადამიანები საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე, ან რა ეპოქით თარიღდება უძველესი ადამიანების საქმიანობის კვალი ამ ტერიტორიაზე? „ვერსია“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნეკრ-კორექსპონდენტი, პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის დაუკავშირდა.



### ობიექტი მკვარ-არაქსის კუდურას განეკუთვნება, ოქრო კი გვიან, თრიალეთურ კუდურაში ჩნდება!

— ბატონო გურამ, რა ეპოქით შეიძლება დათარიღდეს ადამიანის საქმიანობის კვალი საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე?

— არტეფაქტები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ძველი ნეოლითური ხანის მესამე-მეორე ათასწლეულებს განეკუთვნება. ეს არის ადრეული ბრინჯაოს ხანა, რომელიც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი, უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რადგან ამ პერიოდში, კაცობრიობამ ქვის ინდუსტრიის შესაძლებლობები ამოწურა. შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისით, ქვის იარაღები ეფექტური აღარ იყო და დღის წესრიგში მეტი ფართობის ათვისება დადგა. ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა, არსებული ბუნებრივი რესურსები საკმარისი აღარ იყო და ამიტომ, კაცობრიობამ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდა, მოიხინაურა ცხოველები და დაიწყო მინამთხვევითი საკვების წარმოება. საჭირო გახდა ახალი ნედლეულის ძიება და ეს უკვე ადრეული ლითონის ხანაა, კავკასიის მაგალითზე, ტრადიციულად, ეს ძველი ნეოლითური ხანის მეოთხე ათასწლეულია, როდესაც ლითონის პირველი იარაღები ჩნდება. ძირითადად, ეს ფერადი ლითონებია, თვითნაბადი სპილენძი და ამ ნედლეულის ძიებას იწყებენ, რომლითაც ადამიანები იარაღებს დაამზადებდნენ. სწორედ ამ დროს დაიწყეს სპილენძის იარაღების დამზადება და დგება ადრეული ლითონის ხანა. საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტიც ამ პერიოდს უკავშირდება.

— თქვენი აზრით, რას მოიპოვებდნენ საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე?

— ეს ძალიან პრობლემური საკითხია, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა — საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს იყო ოქროს უძველესი საბადო. როდესაც ადრეული ლითონის ხანაზე ვსაუბრობთ, ამ დროს სპილენძი სტრატეგიულ ნედლეულად ითვლება, რადგან ვინც სპილენძის საბადოებს ფლობს, გარკვეული ეკონომიური პოტენციალის მფლობელიც ხდება. საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქცენტი ოქროს მოპოვებაზე აკეთებენ, დღეს ოქრო ამ ტერიტორიაზე მართლაც მოიპოვება, რადგან აქ კვარცხლბეგია, რომლებსაც გამდიდრება სჭირდება. თუმცა ეს შრომატევადი სამუშაოა, რომელსაც მეოთხე ათასწლეულის ბოლოს და მესამე ათასწლეულის დასაწყისის საზოგადოება ვერ შეასრულებდა. თუმცა სპილენძის მოპოვება მათ ნამდვილად შეეძლო. ზოგადად, არქეოლოგისათვის, არავითარი განსხვავება არ აქვს, ადრეულ ხანაში ოქროს მოიპოვებდნენ, თუ სპილენძს, რადგან ორივე ერთნაირად ძვირფასი ლითონია, ორივე უძველესი და როგორც უკვე ვთხარით, ორივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისთვის.

— როგორ გვარდება, საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე უძველესი ადამიანი სპილენძის გამო მივიდა?

— დიახ, ჩემი აზრით, აქ უძველესი ადამიანი სპილენძმა მიიყვანა! ჩემს მოსაზრებას არავის ვახვევ თავს, მაგრამ როდესაც უნივერსიტეტმა საექსპერტო დასკვნის მომზადება დამავალა, პროფესიონალი არქეოლოგის მოვალეობა შევასრულე და დავერე დასკვნა, რომ ამ ტერიტორიაზე სპილენძს მოიპოვებდნენ! სამხრეთ კავკასიაში ამ დროს მტკვარ-არაქსის კულტურაა, ეს არის ადრეული ლითონების ხანა, მინამთხვევითი უკვე დაწყებულია, რისთვისაც სასოფლო-სამეურნეო იარაღები სჭირდებათ და ამისთვის სპილენძს იყენებენ.

— საყდრისის ანალოგიურ შემთხვევებში, როდესაც ობიექტის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რა შეიძლება განვიხილოთ მტკიცებულებად ამა თუ იმ თეორიის სასარგებლოდ?

— როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურაზე ვსაუბრობთ, ეს არის ტომთა დიდი გაერთიანება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური საზღვრებით ვიფარვებით. სინამდვილეში, ეს კულტურა მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე არ გადის. იქით სომხეთია, აზერბაიჯანი, საინტერესოა, ვინ არიან ეს ტომები ეთნიკური წარმომადგენლები? ესეც დავის საგანია, ერთი ამბობენ, რომ ესენი ხეთები არიან, სხვები ფიქრობენ, რომ ინდო-ევროპული ტომები არიან, არადა, ხეთებიც ინდო-ევროპულ ტომებს განეკუთვნება, შემდეგ უკვე

ქართველური ტომებიც ჩნდებიან. ვინ არიან ისინი? ეს ის გაერთიანებაა, რომელსაც ფუფუნების საგანი, ანუ ოქრო სჭირდება? ადრეულ ხანაში, საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე რომ ოქრო ეწარმოებინათ, ამ ობიექტზე დაცვითი სიმბოლოები უნდა ყოფილიყო. საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე კი ასეთი დაცვითი სისტემა ვერ ვხედავ. მტკვარ-არაქსის კულტურაში თითქმის არ არის ოქრო, სამარხები, რომლებსაც ყორღანებს უწოდებენ აღმოჩენილია, მაგრამ ოქრო არ არის. ოქრო თრიალეთური კულტურის პერიოდიდან, ანუ მესამე ათასწლეულის ბოლოს და მეორე ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება. ოქროს საბადოები სწორედ ამ რაიონში იყო, მაგრამ ეს უკვე გვიანი ხანაა, როდესაც ოქროს მოპოვების ტექნოლოგია არსებობდა და უძველეს ტომებს უზარმაზარი ქანების გადამუშავება-გამდიდრება, ასევე ოქროს მარცვლების გამოჩენა შეეძლოთ. მტკიცებულებებზე კი ითვლება აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობების, ანუ არტეფაქტების სპექტრული ანალიზები და მათი ერთმანეთთან შედარება. თუმცა ეს ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და თუ ამ ტიპის ანალიზებს ჩაატარებს კომპანია, მერნმუნეთ, საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს.

— არის აღმოჩენილი არტეფაქტები, რომლებიც საყდრისში ოქროს კვალს დაადასტურებს?

— არა, ჩემთვის ასეთი ფაქტი ცნობილი არ არის. იარაღები მოპოვებულია, მაგრამ ტრასოლოგიური ანალიზების შედეგები ჩემთვის უცნობია.

— ესე იგი, ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვადასხვა იარაღზე ტრასოლოგიური ანალიზი არ ჩაუტარებიათ?

— არა, როგორც ვიცი, არ ჩაუტარებიათ და არც ამ ანალიზების პასუხები ვიცი.

— რით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ობიექტზე მომუშავე ექსპედიციამ ტრასოლოგიური ანალიზი არ ჩაატარა?

— ჩემი აზრით, ასეთი ანალიზი ალბათ, არ სჭირდებოდათ. საერთოდ, ამ რეგიონში, ადრესამინამთხვევითი კულტურების სხვა ძველებზე ტრასოლოგიური ანალიზები ჩაატარეს. ყველაზე ჩანს, რომ ისინი მინამთხვევითის იარაღებია, რადგან აღმოჩენილია ძვლის თოხის პირები, რკინის კავები, რომლებიც გაცვეთილია და ამკარად ჩანს, რომ ამ იარაღებით მუშაობდნენ. ჩემი აზრით, საყდრისი-ყაჩალიანზე ოქროს კვალი არ არის და ამას ტრასოლოგიური ექსპერტიზაც ვერ დაადასტურებს, რადგან როგორც ვთხარით, ამ საბადოზე სპილენძს მოიპოვებდნენ.

— არც ქიმიური ანალიზები ჩაუტარებიათ, რომლებიც საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე ოქროს არსებობას დაადასტურებდა?

— რამდენადაც ვიცი, არა. ამას წმინდა სპექტრული ანალიზები სჭირდება. საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე, კვარცი-ტულ ფენებში ოქრო არის, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ მინახავს.

— გულისხმობს თუ არა ოქროს წარმოება საზოგადოების გარკვეული სოციალური ჯგუფის განვითარების მალალ დონეს, ან შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას?

— აუცილებლად გულისხმობს, რადგან ეს პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო სტრუქტურებთან. უკვე უნდა არსებობდნენ ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც ოქროს მოიხმარდნენ.

— ბრძანეთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ოქროს წარმოება არ ჩანს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე მალალგანვითარებული სოციალური ჯგუფის არსებობა არ დასტურდება?

— ვფიქრობ, ასეთი დანინაურებული, კლასობრივად დიფერენცირებული საზოგადოება ჯერ არ არის. ამ ტიპის საზოგადოება მოგვიანებით, დაახლოებით, ათასი წლის შემდეგ ჩნდება.

— შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ამ ტერიტორიაზე ოქროს მოიპოვებდნენ და მოიხმარდნენ არა ადგილობრივი, არამედ უცხო, უფრო განვითარებული საზოგადოების წარმომადგენლები, მაგალითად, ურუქელები?

— თქვენი ეს ხედვა სწორია, რადგან თვითონ ლითონი და არა მარტო ოქრო, ურუქელების ინტერესის ქვეშ იყო. ადრეული ლითონი ოქროზე მეტად ფასობდა, როგორც იცით, მესოპოტამიასაც არ ჰქონდა საკუთარი ნედლეული, სხვა ტერიტორიაზე მოიპოვებდნენ და ამისთვის კონტრაგენტებიც ჰყავდათ. გეთანხმებით, ურუქელების ინტერესი ნამდვილად იყო და აი, ახლა, ჩვენი არქეოლოგიის წინაშე დგას ეს პრობლემა, რათა გაირკვეს, ვინ არიან ურუქელები, რომლებიც საბრძოლო ეტლებით იყვნენ შეიარაღებული. ეს იყო ის ელიტური ფენა, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ადრეული ლითონების საბადოების მიმართ, რათა საკუთარი კონტროლი დაეწესებინა. ამ კონტროლის გზების გაკონტროლება ცხირდებოდა, რადგან თვითონ მადანი არ ჰქონდათ, მაგრამ ამ მადნის ფასი იცინა. შესაბამისად, ჩნდება მოსაზრება, რომ ოქროს მოსაპოვებლად, ურუქელები ადგილობრივებს ან მატრიალური დაინტერესებით ამუშავებდნენ, ან სამხედრო იძულებით. თუმცა ეს დეტალები უცნობია და ამ კითხვებს არქეოლოგებმა ახლა უნდა გასცენ პასუხები.

— არის თუ არა აღმოჩენილი ურუქელებსა და ქართველურ ტომებს შორის ინტენსიური ეკონომიკური კონტაქტების, ან ამ ტერიტორიაზე სამხედრო ძალის კონტროლის ნიშნები — იარაღი, ფორტიფიკაციები?

— ამასთან დაკავშირებით, აკადემიკოს კონსტანტინე ფიცხელაურს რამდენიმე ნაშრომი აქვს. ის აღნიშნავს, რომ ურუქელები დაინტერესებული არიან ლითონებით. თუმცა ისინი კი არ მოდიან და მიდიან, არამედ კომპაქტურად სახლდებიან ამ ტერიტორიაზე და ქართველურ ტომებთან მათი ასამილაცია ხდება. ცხადია, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები არსებობდა, მაგრამ ეს საკითხიც შესასწავლია. თუმცა ეს უკვე გვიანდელი ხანაა, რომელსაც არქეოლოგები ყორღანების თრიალეთურ კულტურას უწოდებენ, ანუ ეს არის მესამე ათასწლეულის ბოლო და მეორე ათასწლეულის დასაწყისი.

— საქართველოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად სადა არის უძველესი მალაროები, სადაც დადასტურებულია, რომ მართლა მოიპოვებდნენ სპილენძსა და ოქროს, ან რა სტატუსი აქვთ ამ ობიექტებს და რა მდგომარეობაშია ისინი?

— ასეთი საბადოები საქართველოში მრავლადაა, მაგრამ მათ მოვლა-პატრონობა სჭირდება. მხოლოდ საქართველოში 200-მდე ობიექტია ფიქსირებული, თუმცა არცერთი დაცული არ არის. ასეთი მალაროებია სვანეთში, ასევე — ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში, მარტო მესტიასთან 7 შტოლნია აღმოჩენილი. ასეთი ობიექტები გვხვდება რიონის ხეობაშიც, რაჭაში რამდენიმე ათეული მეტრი სიგრძის გვირაბებია, ალაზნის ზედა დინებაშიც გვხვდება, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის რაიონებშია. აღარაფერს ვამბობ ბზიფის ხეობაზე, სადაც უამრავი საბადოა, მაგალითად, ბაშკაყარაში 9 უზარმაზარი შტოლნია, მაგრამ ეს ტერიტორია დროებით ოკუპირებულია.

— როგორია მსოფლიო პრაქტიკა იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი არქეოლოგიური ობიექტის შენარჩუნებასა და ტერიტორიის სამრეწველო ათვისებას შორის დგას?

— ეს სერიოზული პრობლემაა და არა მარტო ჩვენი საზოგადოებისთვის. მაგალითად, აშშ-ში, პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, არქეოლოგიური კომიტეტი შექმნეს. ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც კარგად ფინანსდება და თვალ-ყურს ადევნებს, რათა არც არქეოლოგების, არც მრეწველების და არც ზოგადად, საზოგადოების ინტერესი შეილახოს. სხვათა შორის, აშშ-ში რამდენიმე სასამართლო პროცესიც კი გაიმართა, სადაც დიდ კომპანიებს დაავალეს, არქეოლოგიური ექსპედიციები დაეფინანსებინათ. ჩვენთან ამაზე მხოლოდ ვსაუბრობთ, იქ კი საქმეს აკეთებენ. ევროპის ქვეყნებშიც ანალოგიური მდგომარეობაა, ყველაფერ კომპრომისს ეძებენ, რათა ეკონომიკური ინტერესები არ დაზარალდეს, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობაც დაცული იყოს. ჩვენთან ახლა დგას ეს საკითხი დღის წესრიგში, არქეოლოგიური კომისია უკვე შეიქმნა, რომლის ნევრი მეც გახლავართ და ამ საკითხებზე ყოველდღიურად ვმსჯელობთ. შესაძლოა, ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებიც განვიხილოთ, რათა გაირკვეს, რა არის არქეოლოგიური ობიექტი, რა არის აუცილებლად დასაცავი და რომელ ობიექტთან დაკავშირებით შეიძლება კომპრომისზე წასვლა.

ციხეში გაკეთებული ნივთი თუ არ გაქვთ, ნანახი მაინც გექნებათ. მათი უმრავლესობა დახვეწილია. ეს გასაგებია — რამდენიმე ათას კაცში აუცილებლად ნიჭიერი, თავისუფლებაზე მოპარვის მეტი არაფერი რომ არ გაუკეთებია, ციხეში კი, უსაქმურობისგან რომ არ გაგიჟებულყო, ხეზე კვეთა ისწავლა, პლასტმასის გადადნობა და საინტერესო ნივთების კეთება დაიწყო... ზონაზე ზნის ფიცრების შეგზავნა, არც ერთი ხელისუფლების დროს არ იკრძალებოდა — მისგან პატიმრები ჯვრებსა და ხატებს ამზადებენ და შემდეგ ახლობლებს უგზავნიან. ზოგი პატიმარი ამას გარკვეული გასამრჯელოსთვის აკეთებს, ზოგიც თავისთვის წვალობს.

გოგა ც. გოლიათი იყო. ვილაცხები ამბობდნენ, თავის დროზე წესების გარეშე არაღელვალურ ბრძოლებში მონაწილეობით ირჩენდა თავს; იმასაც ამბობდნენ, იმიტომ ზის, მუშაობს კაცი ჰყავს მოკლული. გოგა თავაულებლად მუშაობდა, ღამეებს ათენებდა და ჯვრებს, ხატებს აკეთებდა. მოუტანდა რომელიმე პატიმარი ზნის ნაჭერს, ეტყოდა, რაც უნდა და ისიც, უხმოდ, ყოველგვარი საჩუქრის გარეშე ასრულებდა საქმეს. საოცარი ხელი ჰქონდა, ყველაზე კარგი და გამორჩეული. უთხრეს კიდევ რამდენჯერმე ზონაზე შესულმა მღვდლებმა, გამოსვლის შემდეგ დაგვიკავშირდი, საპატრიარქოში გი-მუადგომლებთ და ხატები ეკლესიებისთვის აკეთეთ. გოგა არაფერი ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, არ სიამოვნებდა შეთავაზება, სახე ექუფრებოდა.

„გოგა, აგერ ბზა, ცოტა მოზრდილი ჯვარი მინდა გამიკეთო. საჩუქრად მინდა გარეთ ჩემებისთვის. მალე რომ მორჩე, სანაცვლოდ რას ითხოვ?“, — პატიმარმა №0578-მა გოგას ნარზე ბზის ნაჭერი დაულო.

„ვინ ხარ შენ?!“ — ისეთი ხმით იკითხა გოგამ, №0578 მიხვდა, ერთი არასწორი სიტყვა და ყველაფერი ჩხუბით დასრულდებოდა.

„ახალი ვარ, ერთი კვირის მოსული, მითხრეს, გოგას მაგარი ხელი აქვსო. პრობლემა რამე?!“ — მშვიდად ჰკითხა პატიმარმა.

„ისიც ვითხრა, გოგას „კაზიოლივით“ მოექცე და სანაცვლოდ რამე შესთავაზეო?!“ — იღრიალა გოგამ.

საზოგადოება

„მკურნალობა მჭირდება, სხვანაირად ნორმალური აღამიანი ვეღარ გავხდები“

რა პროგრამები ხორციელდება ყოფილი პატიმრების რესოციაციისა და რეაბილიტაციის მიზნით

მერაბ ბერიძე 599-45-50-26

პატიმრების ფართომასშტაბიანი რესოციაციის რეაბილიტაცია ის პრობლემაა, რომელსაც საშველი არ დაადგა. ამ მიზნით გათვალისწინებული პროექტები ჩანასახოვან მდგომარეობაშია და სწრაფი შედეგის იმედი არ უნდა გვქონდეს. ხშირად, ყოფილი პატიმრების უმეტესობამ საერთოდ არ იცის მთავრობისა თუ არასამთავრობო სექტორის მიერ დაფინანსებული სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ — ადამიანები ციხის კედლებს გარეთაც ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან.

„ვერსის“ რესპონდენტი, ყოფილი პატიმარი, 31 წლის დათო (პატიმრის ნამდვილ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ) გვიამბობს: „პირველად 14 წლის ასაკში დამაპატიმრეს მამაკაცის დაჭრისთვის. ერთი წელი მომიხაჯეს. „მალაუტკეპში“ „მაყურებლად მაკურთხეს“. დავეყენე „პალაჟენია“, 6 თვეში ამნისტიით გამოვედი. მეორედ, ისევ დაჭრაზე დამიჭირეს. 5 წელი მომიხაჯეს, მაგრამ ორ წელში „უღო“-თი გამოვედი. მესამედ ქურდობაზე დამაპატიმრეს — სხვისი ნაქურდალი ტექნიკა შევინახე სახლში, თანამონაწილეობაში დამადანაშაულეს. 5 წელი მოვიხადე. და მპატრონობდა ბოლომდე. ჩემზე 11 წლით უფროსია, შვილივით ვუყვარვარ. დედამ და უფროსმა ძმამ, ბოლო პატიმრობისას ზურგი მაქციეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ჩემი დის ოჯახში მივედი. გარეთ უარესი ვითარება აღმხვდა. აგრესიული გავხდი, სმად დაინწყე. მთერული ნათესავ-ახლობლებს დავერეოდი-ხოლმე. სისხლის სამართლებრივ დევნას გადავურჩი, მაგრამ ადმინისტრაციული შემთხვევით, წვრილმანი ხულიგნობისთვის. ჩემნაირ ტვინნაღრმობს მკურნალობა სჭირდება. სხვანაირად, ნორმალური ადამიანი ვეღარ გავხდები. იცით, რამდენია ჩემსავით? — ციხიდან გამოვიდა და ალკოჰოლის ანტიტერებს მისი ბუდი. მე ტექნიკა შევინახე და ვაკეთებ ერთ-ორ ლარს. მეუბნებიან, ცოლი მოიყვანეო, მაგრამ, ყველაფრის ინტერესი დაკარგული მაქვს. ექიმების დანხარება მჭირდება“.

იუსტიციის მინისტრის თვა წულუკიანის ინიციატივით, 2012 წლის ბოლოდან, დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრმა ყოფილი მსჯავრდებულების რესოციაციის რეაბილიტაციის პროგრამა ამოქმედა. მიზანი ამნისტირებულითა დახმარებაა. პროცესში ჩაერთო სასჯელაღსრულების სამინისტრო, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და საპატრიარქოსთან არსებულ ანტინარკოტიკული ცენტრი. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის, ჯონი კვი-

სასჯელი ხაზის ქურდობისთვის

როგორ „შეწენეს“ გიგა ბოკერიას ხლობის დანაშაული გოგას და რაჯომ კვითს ყოფილი პატიმარი უზარმაზარ ხაცს პატიმარის კურთხევით



„არა, არ უთქვამს. უბრალოდ, მეგობრულად მინდა რამით გადაგიხადო. ფული არაა და არც მიკადრებია, მაგრამ სიგარეტი, ჩაი, ყავა...“

„არაფერი მინდა. ნაილე ბზა და აღარ მოხვიდე, არაფერს გაგიკეთებ“.

№0578-მა ბზის მასალა აიღო, ჩუმად გავიდა კამერიდან და მაყურებლებს მიაკითხა: „ვინ არის ეს კაცი და რა უნდა?!“

„ერთი შეხედვით, წესიერი კაცია, არაფერში ერევა, ან სძინავს, ან მუშაობს და არასოდეს წუნუნებს. „პარლამენტს“ ეწევა, ბალანდს არ ჭამს, საკვებს მალაზიაში ყიდულობს, ფული სულ აქვს ბარათზე, თუმცა არავინ იცის, საიდან და როგორ. ხულიგნობის მუხლით ზის, ნაბოზარი არაა და თვეები ისე გადის, კამერიდან არ გამოიხედავს“, — უთხრა მაყურებელმა.

რამდენიმე თვე გავიდა. გოგა და პატიმარი №0578 ერთმანეთს ტელეფონებთან შეხვდნენ. ჯერ გოგამ დარეკა. №0578 გაერიდა, მაგრამ სიტყვები მაინც ესმოდა.

„როგორ ხართ?! მე ძველებურად... თავს გაუფრთხილდით, თვეები დამრჩა... ჰო, ისევე... არაფერი... არ გჩხუბობ... სხვანაირი ვარ, სულ ამას რატომ მამტკიცებინებ...“

№0578-მა გოგას თვალზე ცრემლი შენიშნა. გოგამაც დაინახა, რომ პატიმარი უყურებდა, არაფერი უთქვამს, ხელის-გულით შეიმშრალა ცრემლი და წავიდა. ერთ საათში №0578-ს უთხრეს, გოგა გაძახისო. ორი საათის შემდეგ, პატიმარი

მშვიდად შევიდა გოგასთან და ნარზე ჩამოჯდა.

„ორი საათის წინ დაგიძახე... ვიცი, საქმე არ გქონდა, მაგრამ ნანწყენი ხარ ჩემზე. ნაწყენი და ამაყი... ამიტომ და ამოხვედი მაშინვე. მეც ამაყი ვიყავი ერთ დროს, ამან დამლუპა. შევრიგდეთ?!“ — უთხრა გოგამ და ხელი გაუწოდა.

პატიმარმა უხმოდ ჩამოართვა, მერე კი ნაშობდა და კამერიდან გავიდა. მეორე დღეს თავად მივიდა გოგასთან. საათზე მეტი უყურა, როგორ აწვალდა გოგა ხეზე საჭრელს და როგორ გამოჰყავდა მაცხოვრის სახე. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ერთ დღეს გოგამ ჩუმად უთხრა: „ჩხუბის მეტი არაფერი ვიცი. მუშაობს ვარჩენდი ოჯახს. რუსეთში წავედი, არაღელვალურ ბრძოლებში ვმონაწილეობდი. იცი, რას ნიშნავს „ბოი ნა სმერტი“? ორი წელი ვიბრძოდი და დიდი ფულიც ვიმოვე. მერე შევეში, მაგრამ არ მომასვენეს, ისევ მეძახდნენ. საქართველოში ჩამოსვლა არ მინდოდა. გეზი ციხიდანსავე აიღე. მატარებელი ორი რუსი გაცივანია. დათხრენ და მითხრეს, ეკლესია გავძარცვეთ და ძვირფასი ხატი გვაქვსო. გავბრაზდი, მთის კაცი ვარ, მორწმუნე... ორივე გადავყარე გაქანებული მატარებლიდან. ირგვლივ თოვლიანი სტეპი იყო, დაახლოებით ოთხას კილომეტრში მოსახლე არ ჩანდა... გაიყინებოდნენ ალბათ. მათი ნივთები გავჩხრიკე და მაცხოვრის ხატი ვიპოვე. საოცრება იყო... ძვირფასი თვლებით მოჭდილი, ოქროთი გაფორმებული. მეორე მატარებელი გადავჯექი და მოსკოვში დავბრუნდი. ხატის ექსპერტებმა ხუთ მილიონად შეაფასეს. ძალიან ბევრი ვიფიქრე და გავყიდე... იცი, რას ნიშნავს, როცა ხუთი მილიონი გაქვს და მოსკოვში ხარ? ეს უნდა გამოსცადო. ორი წელი არაფერი დამიკლია, ყველაფერი მქონდა. საქმეში ჩასადევნე 4 მილიონი გადავდე. მერე მილიონი მოვაკელი, მერე კიდევ მილიონი... ერთ დღეს მივხვდი, ფული აღარ მქონდა. ეკლესიაში შევედი და ჩემი გაყიდული ხატი აქ არ დევს? ვინც ჩემგან იყიდა, ეკლესიისთვის შეუწირია. ორ დღეში მოვიპარე და სანამ გავყიდე, საქართველოდან დამირეკეს, დედა გიკვდებო. მაშინვე ჩამოვედი, ხატი კი, იქ დავტოვე. დედა ორ კვირაში დაიღუპა. მესამე დღეს მამა მიჰყვა, კიდევ სამი დღის შემდეგ ჩემი ძმა ემსხვერპლა ავარიას. ამ ამბებთან თვეც არ იყო გასული, ჩემმა გოგამ გონება დაკარგა. ექიმთან წავიყვანეთ და სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს... მაშინვე ხატი გამახსენდა. მოსკოვში წავედი და ეკლესიაში ჩუმად დავაბრუნე. ვისაც უნდა, ნუ დაიჯერებს — სიმსივნის დიაგნოზი სამ დღეში შეიცვალა, ექიმებმა ბოდიში მოიხადეს, შევეცდით... რუსეთისკენ გახედვაც აღარ მინდოდა. სახლში, უსაქმურობისგან ვკვდებოდი. ერთ დღეს, ძველ ფარდულს ვანგრევე და ფიცარზე თითქოს მაცხოვრის სახე გამოისახა. სპეციალური საჭრელი ვიყიდე და... ორ საათში ჩემი ცოლი გაოგნებული მეკითხებოდა, რატომ არ თქვი, ასეთი ხელი თუ გქონდაო. მას შემდეგ დავიწყე ხეზე კვეთა...“

ორი წლის შემდეგ, თბილისში ეკლესია გაძარცვეს. გავიგე ვინც გაძარცვა, დავადექი და მოპარული ხატები წავართვი. ორნი იყვნენ, გამიძალიანდნენ, ხელი მოუქნიეს... ბინდი გადამეკრა თვალზე, თორემ არ გავიმეტებდი. თითქოს, მარტო იმით კი არა, საკუთარ თავსაც ვცემდი. ორიდან ერთ-ერთი გიგა ბოკერიას მეზობელი თუ ნათესავი გამოდგა. მიჩვილეს. ეკლესია იმით გაძარცვეს, მე კი დამიჭირეს. ხულიგნობისა და სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით გამასამართლეს, ექვსი წელი მომიხაჯეს. ისინი კი, ვითომც არაფერი, შინ გაუშვეს. ვზივარ და ხატებს ვაკეთებ. გგონია, არ მინდა, ფეხი გავშალო... ვერ ვახერხებ. ყველგან მაცხოვრის სახეს ვხედავ, შემოვიდვიარ და კვეთას ვინყებ“.

„და ის ორი რუსი, მატარებლიდან რომ გადაყარე, არ მოგიძებნია?!“

„არა. მაშინ არც მიდარდია. ამისთვის ვისჯები მგონია, მაგრამ რასაც ვაკეთებ, სასჯელი კი არა, ჩემი საქმეა უკვე... აი, დედა, მამა და ძმა მგონია სასჯელი. თვეში ერთხელ ცოლ-შვილს ველაპარაკებ. არ სჯერათ, რომ გამოვსწორდი. იტალიაში არიან. აქედან თუ გავაღწიე, უნდა ჩამოვიყვანო. ცოლი ამბობს, არ შეგირიგდებო, მაგრამ მაინც მჯერა სასწაულის.“

„რამდენი კაცი გყავს მოკლული?!“ — ჩუმად ჰკითხა პატიმარმა.

„მართლა არ ვიცი... სტიმულატორებს გვასმევენდნენ ჩხუბის წინ. ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე მიჩხუბია...“

„ანუ, შეიძლება ათი ან ასი?!“

„არა, ასი ბევრია... არ ვიცი“, — ხმას აუწია გოგამ, მერე კი ჩუმად დააყოლა — „მასალა მომიტანე, ჯვარს გაგიკეთებ“.

„არ მინდა... იყოს...“ — უპასუხა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

\*\*\*

რამდენიმე თვეში გოგა თავისუფლებაზე გაუშვეს. ჩუმად წავიდა, არავის დამშვიდობებია... ერთი თვის შემდეგ პატიმარზე გასულ პატიმარ №0578-ს ოჯახის წევრებმა უთხრეს, ვილაც ქალი იყო მოსული, ბზაში ნაკვეთი მაცხოვრის ხატი და ჯვარი მოიტანა და ასე თქვა, ჩემმა ქმარმა გამომოტანაო... გასულ კვირას გოგას ქალიშვილისგან პირველი შვილიშვილი შეეძინა. მის სახელზე ეკლესიისთვის უზარმაზარ ხატს კვეთს და რაც მთავარია, უკვე პატრიარქის კურთხევით.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი


9x9 grid puzzle with numbers 6, 5, 8, 1, 5, 4, 7, 6, 7, 2, 1, 9, 6, 9, 2, 5, 1, 6, 2, 8, 5, 9, 7, 7, 8, 1, 8, 6.

9x9 grid puzzle with numbers 9, 5, 3, 6, 8, 3, 7, 1, 2, 8, 5, 9, 8, 2, 3, 2, 4, 7, 5, 3, 6, 1, 5, 3, 2.

9x9 grid puzzle with numbers 2, 1, 9, 7, 6, 5, 8, 7, 3, 8, 2, 4, 3, 2, 5, 9, 7, 3, 5, 6, 1, 6, 2, 3.

9x9 grid puzzle with numbers 7, 4, 3, 9, 2, 8, 5, 6, 2, 7, 7, 1, 9, 5, 8, 5, 7, 9, 1, 7, 8, 6, 1, 5, 5, 4, 6.

ამერიკელები კვერცხუჯრელებით ვაჭრობენ



ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალის გენეტიკური მასალის გაყიდვაზე ბიზნესი აენყო. აქაურმა ბიზნესმენებმა ფულის შოვნის ახალ მეთოდს მიაგნეს — უშილო წყვილებს „ეხმარებიან“ და გარანტირებულად ჯანმრთელი, ჭკვიანი და ლამაზი ბავშვის ყოლას პირდებიან.

მკერდის კიბოს ოზონის შხამით უმკურნალოებენ

ავსტრალიელმა პროფესორმა, ნორელ დელიმ 200 ათასი დოლარის გრანტი მიიღო ავსტრალიის მკერდის კიბოს ფონდიდან, ტესტირება რომ ჩაატაროს სიდნეური ობობებისა და ტარანტულების შხამზე.



ტატუირებას ფასდაკლებით მოემსახურებიან

აშშ-ს ოჰაიოს შტატში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა სამუდამოდ ფასდაკლება შესთავაზა იმ კლიენტებს, რომლებიც დათანხმდებიან და დაწესებულების საფირმო სენდვიჩის გამოსახლებიან ტატუს გაიკეთებენ.



წინა ნომერი გასული სკანოკრდისა და სულოკუს პასუხები

9x9 grid puzzle with numbers 2, 1, 4, 9, 6, 5, 3, 8, 7, 9, 5, 3, 8, 7, 4, 1, 6, 2, 6, 8, 7, 3, 2, 1, 9, 5, 4, 5, 9, 2, 1, 8, 3, 4, 7, 6, 4, 7, 1, 6, 5, 2, 8, 3, 9, 3, 6, 8, 7, 4, 9, 5, 2, 1, 1, 4, 5, 2, 3, 7, 6, 9, 8, 8, 2, 9, 5, 1, 6, 7, 4, 3, 7, 3, 6, 4, 9, 8, 2, 1, 5.

9x9 grid puzzle with numbers 4, 2, 1, 5, 9, 3, 8, 7, 6, 8, 3, 6, 2, 7, 4, 1, 9, 5, 5, 9, 7, 1, 8, 6, 4, 2, 3, 3, 8, 5, 9, 6, 2, 7, 1, 4, 6, 7, 4, 8, 5, 1, 2, 3, 9, 2, 1, 9, 4, 3, 7, 6, 5, 8, 1, 6, 3, 7, 4, 9, 5, 8, 2, 9, 5, 2, 6, 1, 8, 3, 4, 7, 7, 4, 8, 3, 2, 5, 9, 6, 1.

- მე-10 გვერდი: 1. „წითელქუდა“; 2. ბორჯომი; 3. წამი; 4. თართი; 5. ლიანა; 6. ოკრიბა; 7. ჯადვარი; 8. მენტორი; 9. ომერტა; 10. ჩიჩერონე; 11. ტირისკონი; 12. როდენი; 13. ვერონა; 14. ოტომანი; 15. ეჩმიადინი; 16. ჩიტა; 17. არქივარიუსი; 18. ბრავო; 19. ჩუი; 20. ნაბლა; 21. „რერო“; 22. ჩარა; 23. ირი; 24. ვოლანი; 25. ინსაიდი; 26. ტირი; 27. ექსორია; 28. ვაინონა რაიდერი; 29. „ლაკემე“; 30. იოგა; 31. ნაი; 32. კინგი; 33. კაბინა; 34. მუნი; 35. ომბალო; 36. ვო; 37. ნეი; 38. სოლომანი; 39. იავა; 40. კანო; 41. საგარეჯო; 42. მირკანი; 43. აიაჩო; 44. ტროა; 45. ურია; 46. ბაბაჭუა; 47. ბოი; 48. ლი; 49. ანა; 50. ბმო; 51. დიბა; 52. ალკე; 53. აპიფობია; 54. კაკო; 55. ლივ; 56. იუდა; 57. მაკრო; 58. ხიმე; 59. ფრანკი; 60. პირს; 61. პაი; 62. შოუ; 63. კანიჯა; 64. შატლი; 65. საკე; 66. სინტო; 67. კიბო; 68. ტრიო; 69. ტრიკო; 70. ჩოხა; 71. მუშნი; 72. პიურე; 73. დეუ; 74. ინა; 75. მარაბუ; 76. ყია; 77. ნევა; 78. ერდო; 79. ბაკმი; 80. ბუი; 81. მაკრინე; 82. სერი; 83. ტიერი; 84. კივი; 85. მი; 86. გოა; 87. მაპუტუ; 88. ასაკი; 89. ლემი.

9x9 grid puzzle with numbers 3, 5, 6, 4, 8, 2, 1, 9, 7, 7, 4, 8, 3, 1, 9, 2, 6, 5, 2, 1, 9, 5, 7, 6, 3, 4, 8, 1, 3, 2, 7, 9, 5, 6, 8, 4, 6, 8, 5, 1, 4, 3, 9, 7, 2, 9, 7, 4, 2, 6, 8, 5, 1, 3, 5, 6, 1, 8, 3, 4, 7, 2, 9, 8, 2, 7, 9, 5, 1, 4, 3, 6, 4, 9, 3, 6, 2, 7, 8, 5, 1.

9x9 grid puzzle with numbers 3, 7, 8, 6, 5, 2, 4, 1, 9, 2, 9, 6, 8, 1, 4, 7, 5, 3, 5, 4, 1, 9, 3, 7, 8, 2, 6, 1, 3, 5, 4, 2, 9, 6, 8, 7, 6, 2, 9, 7, 8, 5, 3, 4, 1, 7, 8, 4, 3, 6, 1, 2, 9, 5, 9, 6, 3, 5, 4, 8, 1, 7, 2, 8, 1, 7, 2, 9, 6, 5, 3, 4, 4, 5, 2, 1, 7, 3, 9, 6, 8.

- მე-12 გვერდი: 1. ჰეკუბა; 2. კაბუკი; 3. ჰარარე; 4. კიმონო; 5. ბულიტი; 6. კანკანი; 7. ბიენალე; 8. კუძუ; 9. ტრემოლო; 10. ურარტუ; 11. ესკულაპი; 12. „ატენური“; 13. ანდერძი; 14. კალჩო; 15. კადრილი; 16. ეკვა; 17. კაკაო; 18. ეროსი; 19. ბარიკადა; 20. ნალა; 21. ბამბა; 22. ბურდუხანი; 23. დურუჯი; 24. ხატი; 25. ჰუსარი; 26. კორომი; 27. პა; 28. „ფიდელიო“; 29. ტულარემა; 30. ჰარი პოტერი; 31. სტოპერი; 32. სკოპი; 33. ოე; 34. ენ; 35. რკო; 36. ატილა; 37. სიო; 38. ალოე; 39. მიურატი; 40. რეი; 41. სპა; 42. ინა; 43. კიპუ; 44. სურა; 45. იზეო; 46. სკა; 47. კანოე; 48. გეა; 49. რძე; 50. არენდა; 51. პლედ; 52. მაკაკა; 53. ლარი; 54. აბაი; 55. ლუხუმი; 56. კიო; 57. აზო; 58. ადიდა; 59. დანაე.

ინტერნეტით გაცნობა აკრძალეს

ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ახალი ბრძანება გამოსცა, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს ინტერნეტის მეშვეობით გაცნობას უკრძალავს.



# ლიბერთი ბანკის ახალი სერვისსენზორი წარუშვანს

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 2 დეკემბერს, ბანკის დირექტორმა დავით ვერულაშვილმა, წეროვანში, ლტოლვილთა დასახლებაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა. ახალი სერვისცენტრი სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს.

ლიბერთი ბანკის ახალ სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

ლიბერთი ბანკმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 130-ზე მეტი ფილიალისა და სერვისცენტრის მოდერნიზება განახორციელა. ბანკი საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელითაა წარმოდგენილი, რომლის საშუალებითაც 1 400 000 ფიზიკურ და 69 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

საქართველოს საბაზრო სექტორთან შედარებით, ლიბერთი ბანკი უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება. 2009 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე, ბანკის აქტივები 453.4%-ით, ხოლო საბანკო სექტორის აქტივები 142.7%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ლიბერთი ბანკის მთლიანი სესხები 710.6%-ით გაიზარდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი საქართვე-



ლოს საბანკო სექტორისთვის 124.0%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია კლიენტთა დეპოზიტების ზრდის ტემპიც, რადგან ლიბერთი ბანკში ეს მაჩვენებელი 769.3%-ით გაიზარდა, ხოლო საბანკო სექტორში მხოლოდ — 206.5%-ით. ლიბერთი ბანკი 1 500 000-მდე ფიზიკურ პირსა და 95 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება. ბანკს საქართველოში მომსახურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს.

2009 წლიდან მოყოლებული, ლიბერთი ბანკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2009 წლის სექტემბერში, ბანკის მთლიანი აქტივები 278 000 000 ლარს შეადგენდა, 2014 წლის ივნისში 1 471 000 000 ლარი იყო, ანუ ბანკის მთლიანი აქტივები 5.3-ჯერ გაიზარდა.

2014 წლიდან მოყოლებული, ლიბერთი ბანკმა მნიშვნელოვნად გაზარდა საბაზრო წილები მთლიანი აქტივების, ფიზიკური პირების სესხების, მთლიანი დეპოზიტებისა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მიხედვით.

2009 წლის სექტემბერში, ლიბერთი ბანკის წმინდა სესხები 77 000 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2014 წლის ივნისში — 671 000 000 ლარს, ანუ 8.7-ჯერ გაიზარდა. 2009 წლის სექტემბერში, ბანკის დეპოზიტები 155 000 000 ლარი იყო, ხოლო 2014 წლის ივნისში 1 293 000 000 ლარს გაუტოლდა, ანუ 8.3-ჯერ გაიზარდა.

2014 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით, ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი, 8.0%-ს შეადგენს.

## მართობა



1. ...დარე- ჯანი	2. ინგ- ლისელი მუსიკოსი	3. „ციური“ ყავილი					4. ბერის გრაფიკული ნიშანი	5. ვაჟის პოემა „... ქეთულაუ- რი“	6. „მქსოველი“ მწერი	
				7. ვაზით გადახურუ- ლი სარდი- ლიბული	8. მექსიკის უმალესი მწვერვალი					
9. მოუ- ლოდნელი შემოწმება	10. ლევენდ- მოკრივე კასიუს ...	11. ტიბ- ეტური ხარი					12. ძვირფას- თვლებიანი ყვლისაბაში	13. იგევა, რაც იარ- ლიცი	14. აერი- სტატის ტივითი	
								15. ადამის ნეკიდან შექმნილი ქალი		
	16. შვარ- ცენგერის მეტსახელი		17. მდ. პარიზში	18. შვამიანი გომბეში	19. კურტი- ზანი ქალის სახ. „ტრა- ვიატაში“				20. ჩიტის „სახლი“	
			21. რუსი მწერალი	22. დროის მანქანები					23. ქართული მითოლო- გიის გმირი	24. თანაბარი ანგარიში სპორტში
25. დასაე- ვრობის უდიდესი მდინარე	26. ბანკის ერთვარი თამაში						27. პერის ზღაპარი	28. საუკეთ- ესი ბროლი		
29. ამაზონის მტაცებელი თევზი	30. „თოი- გონი“ ავტორი			31. ჭაობის მცენარე			32. სელონური თმები	33. „მან- ჩესტერის“ მკვარე		34. განას დედაქალაქი
						35. ტბა იაპონიაში				40. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
41. ობერა „კარმენის“ ავტორი	42. პარკოსანთა ოჯახის ხე			43. ორთავიანი მწვერვალი კავკასიონზე	44. დღის მომდევნო დღეს ანუ როდის?		45. შესანახად განმობილი სორცი			
		46. სათა- მამო ბი- ზნის მქე- -უვასი	47. ღონ კოსტის მეაბჯრე ... პანსა	48. სასიგნალო ტივტივა წყალზე	49. ბერლი- ნის საფეხ- ბურთო კლუბი				50. ჯუჯა კამეჩი	51. წინსვლა სამსახურში
52. იგევა, რაც კლი- მატი	53. ეროპ. თოვლის ბაბუა ... სანტა ...			54. თევზსაჭერი მოწყო- ბილობა	55. სანე- ლებელი მცენარე					
		57. ისრაელის წარმოების ავტომობი	58. დინამიტის გამომგო- ნებელი				59. არაბული ფლიტა	60. ელკანით ცნობილი იტალიის კუნძული		
62. ჯამის ფორმის სასმისი	63. ჯოხზე წამოცმული ნაყინი			64. რაჟის „დედაქა- ლაქი“	65. სმულთა- შუა ზღვის ნაწილი				66. მადამ ბოვარის სახლი	67. ბერის ანარკლი
										61. რისაჟ გამომ- ვარილი, წაწვეტ- ბული ნაწილი

**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge  
 UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმვა და მითითებული მითითებული  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი მითითებული: ნინო ლურსმანაშვილი  
 მიმდინარეობს: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.  
 სტილისტი – ნინო ებანოძე  
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
 ტელ: 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული  
 მასალები უკან არ ბრუნდება.  
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა  
 და ინფორმაციის სიზუსტეზე  
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის  
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით  
 14 დღის განმავლობაში.